

**ქარარელ-ეკონომიკური
ეაცნოერება
და
ტექნოლოგიები**

№3

**თბილისი
2019**

სარარელ-ეკონომიკური
მაცნეობების
და
ტექნიკური
განვითარების

№3

თბილისი
2019

ISSN 1987-6335

**სამრარტულ-ეკონომიკური
მეცნიერება და ტექნიკური გიგანტი**
2019 №3(44)

საერთაშორისო სამაცნევო-
გეორგოლოგიური და კრაქტიკული,
ყოველქვართალური რეზერვირებული
ჟურნალი

**Agrarian-economic
Science and Technologies**
2019 №3(44)

**International Scientific-
Methodological and Applied,
Quarterly Referenced Journal**

2019 №3(44)

ჟურნალი დაფუძნებულია და გამოდის
2008 წლიდან, ყოველქვართალურად

**Journal was Founded in 2008
and is issued quarterly**

599-22-75-50

E-mail: areal 55555@gmail.com
www. gaas.dsl.ge

**თბილისი- Tbilisi
2019**

ომარ ქეშელაშვილი

სარგებლით-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მუნიციპალიტეტის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიონი.

სარგებლით-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მუნიციპალიტეტის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: გ.ალექსიძე, ნ.ბალათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, პ.კოლუაშვილი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, ნ.ქარქაშაძე, ნ.ჩხარტიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, გ.ჯაფარიძე.

სარგებლით-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

მარტინ აბებრიძე (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), ალექსეი სიზონოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), იოსეფ კანია (პოლონეთი), ანდრეი ლეპიარჩიკი (პოლონეთი), ჩაბა ჩაკი (უნგრეთი), პანორმიარ ცენტოვი (ბულგარეთი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარგებლით კოლეგია:

ლევა შვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ე.შაფაქიძე-სმმ აკადემიის აკადემიკოსი, ა.მესხიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ნ.დამენია-ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, მჩავლეიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

O. Keshelashvili

Editor-in-chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences.

Editorial-scientific Board:

Academicians of the Academy of Agricultural Sciences: G.Aleksidze, G. Baghaturia, J.Gugushvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G. Japaridze, N. Karkashadze, J. Katsitadze, P.Koguashvili, N. Chkhartishvili, Z.Tskitishvili, E.Shapakidze.

Foreign members of Editorial–Scientific Board:

Martin Apenbreke (German); Sergi Kazarian (Armenia), Aleksei Sizonov (Ukrain), Ian Piculi (Poland), Jozef Kania (Poland), Andrzej Lepiarczyk (Poland), Chaba Chaki (Hungary), Panomir Tzenov (Bulgaria), Sadig Salakhov (Azerbaijan), Galib Gadjiev (Azerbaijan),

Publishing Board

D.Egiashvili-Deputy editor, Academic doctor, E.Shapakidze- academician, A.Meskishvili-Academic doctor, N.Damenia-Academic doctor, M. Chavleishvili-Academic doctor.

1. ეკონომიკა და ბიზნესი Economics and Business

პრეცენტული ბიზნესი

ომარ ქეშელაშვილი-
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურნობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

განხილულია კონკურენციის ცნება, კონკურენციის სახეები და კანონობიერებები, წარმატების ფაქტორები, კონკურენციის სახელმწიფო რეგულირება.

აღნიშნულია, რომ კონკურენცია, როდესაც იგი არასრულყოფილ და უმართავ სახეს ღებულობს, მოითხოვს სახელმწიფო რეგულირებას. სახელმწიფო რეგულირება გულისხმობს ეკონომიკური და ორგანიზაციული ოპერაციების შეცვლასა და მათზე კონტროლისათვის შესაბამისი კანონების დაშვებას. ცნობილია რეგულირების 3 ფორმა: ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი.

კონკურენციის ცნება

კონკურენცია ლათინურიდან წარმოსდგება და ნიშნავს ადამიანთა შორის მეტოქეობას მიზნის მისაღწევად.

კონკურენცია ეკონომიკური კატეგორიაა და ასახავს ბრძოლას კერძო მწარმოებლებს შორის, საქონლის წარმოებისა და მისი ოპერაციის საუკეთესო პირობების შესაქმნელად.

კონკურენცია აუცილებელი მოვლენაა იმ პირობებში, როცა მიწოდება აღმატება მოთხოვნილებას და როგორც წესი, წარმოიშობა საქონელთა შორის და ფირმებს შორის.

კონკურენციასთან ბრძოლის ძირითადი მეთოდია წარმოების დანახარჯებისა და საქონლის ფასების შემცირება, გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წარმოების მასშტაბების რეგულირებას, საქონლის ხარისხის ამაღლებას, რეკლამას და ა.შ.

კონკურენციის სახეები და კანონზომიერებები

ამერიკული სტანდარტების მიხედვით კონკურენცია იყოფა წმინდა კონკურენციად და მეტოქეობად. წმინდა კონკურენცია აღინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ანალოგიური პროდუქტების წარმოებას ან მომსახურებას. კონკურენციის ამ ფორმას, როგორც წესი, თვით მეწარმეები არეგულირებენ და არა სახელმწიფო.

წმინდა კონკურენციის დროს ფირმები ერთმანეთთან არავითარ კონტაქტში არ იმყოფებან და თავისუფლად იბრძვიან ბაზარზე მომხმარებლის მოპოვებისათვის.

კონკურენციის ძირითადი სახეებია:

1. ფუნქციონური–წარმოიშობა იმის გამო, რომ ერთი და იგივე მოთხოვნილება შეიძლება დაგმაყოფილდეს სხვადასხვა საშუალებებით (წიგნები, სპორტსაქონელი, მანქანები და სხვ.);
2. გარენულსახური–წარმოიშობა სხვადასხვა ფირმის ან ერთი ფირმის მიერ სხვადასხვანაირად გაფორმებული ანალოგიური საქონლის გამოშვებით;
3. საგნობრივი–როგორც წესი წარმოიშობა სხვადასხვა ფირმის ანალოგიურ საქონელს შორის;
4. ფასობრივი–წარმოიშობა საქონელზე ფასების ცვლილების გზით. იაპონელი ახალ ბაზარზე გასვლისას ხშირად 10%-ით ამცირებს საქონლის ფასს. ამასთან, ფირმას უნდა ჰქონდეს ფასის რეზერვი მისი შემცირებისათვის;
5. ფარული ფასობრივი–წარმოიშობა მაშინ, როდესაც უფრო მაღალი ხარისხის საქონელი იყიდება იმავე ფასში, რა ფასებშიც იყიდება კონკურენტის საქონელი;
6. არაკონიერი მეთოდები–ეს არის: იმიტატორების მიერ შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, ანუ პროდუქციის წაბაძვა (ადგილი ჰქონდა ჰონკონგში, მაროკში); ეკონომიკური და სამრეწველო ჯაშუშობა; მომხმარებლების მოტყუება; მაქინაციები საქმიან ანგარიშებში, კორუფცია, სპეციალისტების გადაბირება; მეთოდების, ფორმების, პროგრამების მითვისება და ა.შ.

კონკურენციის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ოლიგოპოლიასა და მონოპოლიას. ოლიგოპოლიის დროს ბაზარი კონტროლდება მწარმოებელთა მცირე რიცხვის მიერ; მონოპოლიის დროს უარყოფილია ნორმალური კონკურენცია და ბაზარს აკონტროლებს ერთი კომპანია. სახელმწიფო ყოველთვის ცდილობს გაატაროს დონისძებები კონკურენციის ამ სახეების წინააღმდეგ.

შემოქმედებითი და არადამანგრეველი კონკურენციის შესახებ ფურადღებას იმსახურებს ჟურნალ „ფორჩუნის“ მიერ გამოქვეყნებული რეკომენდაციები:

1. ნუ ებმები კონკურენციაში უკანმოუხდავად;
2. შეიგნე, რომ ორივე მხარე გამარჯვების მისაღწევად კონკურენციულ ბრძოლას ბოლომდე გასწევს;
3. არ გაგიტაცოს იმის მცდელობამ, რომ აამაღლო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მხოლოდ მიკროდონეზე მართვის გაუმჯობესების სარჯზე;
4. არ გააღიზიანო შენი პარტნიორ-კონკურენტი გადაჭარბებული ძალისხმევით კონკურენციაში;
5. არ დააბიჯო შენს კონკურენტს მტკიცნეულ ადგილას;
6. გააცანი შენს პარტნიორ-კონკურენტს მხოლოდ ის, რაზეც იგი, შენი აზრით მოვალეა, რომ იცოდეს შენს შესახებ.

ბიზნესის დიდი ხნის ისტორიის გამოცდილების შედეგად მეცნიერები უკვე გამოცოდებ კონკურენციის გარკვეულ კანონზომიერებებს. ბრიუს ხენდლერსონი გამოჰყოფს კონკურენციული ბრძოლის შემდეგ კანონზომიერებებს:

1. თუ კონკურენტები თანაბარი სიძლიერისანი არიან, ხოლო მათი სტრატეგია არსებითად იდენტურია, მაშინ მათი თანაბრივობა ბაზარზე არამყარია და კონფლიქტები მუდმივი, გინდაც უმნიშვნელო მიზეზებით;
 2. თუ არსებითი, შედარებით მნიშვნელოვანი ფაქტორი მოუხლოვდა კრიტიკულ მდგომარეობას, მაშინ თანაბრიობა ასევე არამყარია;
 3. თუ პარტნერიალში კრიტიკული რამდენიმე ფაქტორი შეიძლება გახდეს, მაშინ დასაშვებია ისეთი სიტუაცია, როდესაც თითოეული კონკურენტი მომხმარებელში მონახავს თავისი წარმატების გარკვეულ ნაწილს და როდესაც რამდენიმე კონკურენტს შეუძლია თანაირსებოს, თითოეულს კი თავის „პროფესიულ სეგმენტში“;
 4. ერთი კრიტიკული ფაქტორის შემთხვევაში არსებობს არაუმეტეს ორი-სამი კონკურენტი;
 5. შეფარდება „ორი ერთთან“ ნებისმიერ ორ კონკურენტს შორის-ეს თანაბრიობის ის წერტილია, როდესაც შეფარდების ცვლილებისაგენ მისწრაფება იჩქმალება.
- საყურადღებოა, რომ კონკურენციულ ბრძოლაში იქვეთება ახალი მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი შემდეგი ძირითადი ნიშნები:

1. გლობალური წარმოება-საქონლის წარმოება დამოკიდებულია ეკონომიკასა და ტექნოლოგიაში ცვლილებებზე;
 2. ტექნოლოგია-სიახლე ვრცელდება უმოკლეს დროში ყველან. მისი გადაცემა, გაუმჯობესება და გამოყენება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გამოგონება (ამ მიმართულებას ფართოდ იყენებს იაპონია). აյ აღსანიშნავია ცვლილებები ბიოტექნოლოგიაში, კომპიუტერულ და რობოტოლექნიკაში, ლაზერულ და ოპტიკურ ტექნოლოგიაში და ა.შ.;
 3. შედარებითი უპირატესობა-დინამიურია, დამოკიდებულია ადამიანზე და განისაზღვრება ბუნებრივი პირობებით. ქვეყნები, რომლებიც ღარიბია არიან ბუნებრივი რესურსებით, შეიძლება სერიოზულ მოწინააღმდეგებად იქცნენ მსოფლიო კონკურენციაში ბრძოლისას;
 4. „ადამიანის კაპიტალი“ დიდად დირექტული რესურსია, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ბუნებრივი რესურსები, ანდა დაგროვილი სიმდიდრე;
 5. ფინანსები—ეს უმნიშვნელოვანესი ძალა თავს იყრის აღმოსავლეთში, განსაკუთრებით იაპონიაში, რომელიც XXI საუკუნის ფინანსური ცენტრი გახდება;
 6. მოქნილობა-უპირატესობა ეძლევა სწრაფი ადაპტაციის საშუალებებს;
 7. პროტექციონიზმი—მსოფლიო ვაჭრობასა და სავაჭრო ომებში წინააღმდეგობების შექმნის მუქარა;
 8. ხარისხი—მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ისეთ საწარმოებში, რომლებიც ორიენტირებულია ინფორმაციასა და მომსახურებაზე;
 9. უკეთესი პირობების ძებნა—საწარმოო ძალები განიცდიან გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან მეორეში, უფრო ნაკლები დანახარჯების, მაღალი უფექტურობისა და ხარისხის ძიებაში;
 10. საქონელი ბაზარზე—ტრადიციული საქონლის მნიშვნელობა ეცემა, მოხდება ტექნიკური სიახლის სწრაფი გარდაქმნა სტანდარტულ, მასიურ საქონლად;
 11. წენარი ოკეანის აუზი—XXI საუკუნის მსოფლიო ეკონომიკური ცენტრი აქ გადაინაცვლებს;
 12. ახალი მოდელი—„კაპიტალიზმის“ ახალი გააზრება აზიაში შეიძლება აღმოჩნდეს აქტივულზე უკეთესი.
- ყველა ამ ნიშნის განმსაზღვრელია კონკურენცია, რომლის გარეშეც შეუძლებელია პროგრესი ეკონომიკაში და სახელმწიფოთა განვითარებაში.

კონკურენციის მთლიან ჯაჭვში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საქონლის კონკურენტუნარიანობის დონე. ეს განისაზღვრება შემდეგი 4 ფაქტორით:

1. ბაზარზე კონკურენტის საქონელზე ადრე გასვლა;
2. შედარებით მაღალი ნაყოფიერების (მწარმოებლურობის) მიღწევა;
3. მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე მოქნილი რეაგირება;
4. დანახარჯები დამზადებაზე.

როგორც ჩანს, ნაყოფიერება კონკურენტუნარიანობისა და შესაბამისად საწარმოს წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ბიზნესმენთა მიერ ნაყოფიერება (მწარმოებლურობა) განისაზღვრება როგორც პროდუქტისა და მის საწარმოებლად გაწეულ დანახარჯთა შეფარდება. დანახარჯებში შედის როგორც შრომითი, ისე მატერიალური დანახარჯები, კერძოდ: შრომითი რესურსები, ფიზიკური და ფინანსური კაპიტალი (აქტივი), უნერგია, მასალები, ინფორმაცია.

წარმატების ფაქტორები

კონკურენციულ ბრძოლაში წარმატებები მრავალ შანს-ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები კლინდება ფირმისა და მისი საქონლის კონკურენტებთან შედარების მეთოდით, რის საფუძველზე წყდება, რომელი მაჩვენებლების მიხედვით უნდა გაუსწრო კონკურენტს და რომელი მაჩვენებლის დონე შენარჩუნო ან ჩამოარჩინო კიდეც კონკურენტის ანალოგიური მაჩვენებლის დონეს.

ამისათვის საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. მყიდველის რომელ მოთხოვნებს აკმაყოფილებს თქვენი საქონელი?
2. რამდენად კარგად (კონკურენტთან შედარებით) ასრულებს თქვენი საქონელი თავის ფუნქციებს?
3. როგორ გამოიყენებს მყიდველი თქვენს საქონელს?
4. ყველა შემთხვევაში მორგებული საქონელი ამ მიზანს?
5. როგორია ბაზრის სპეციფიკური მოთხოვნები (საიმედოობა, სიმტკიცე, შეფუთვა და ა.შ.) და რამდენად კარგად პასუხობს მათ თქვენი საქონელი?
6. საქონელი უნდა გაიყიდოს სხვასთან კომპლექსში თუ ცალკე?
7. ბაზარზე გაყიდვის რომელი მეთოდია ყველაზე მეტად ეფექტური თქვენი საქონლისათვის? იყენებთ თუ არა ამ მეთოდს, და თუ არა-რატომ?

8. წარმოებიდან მომხმარებლამდე არის თუ არა ვიწრო ადგილები, სად და რა ხასიათის?

9. რა უნდა გააკეთოთ, რომ აღმოფხვრათ შეფერხებები?

ამ კითხვებზე გაცემული კვალიფიციური პასუხები და მისი ანალიზი დიდ დახმარებას გაუწევს და წარმატების შანსს მისცემს ბიზნესმენებს კონკურენციულ ბრძოლაში, მაგრამ რასაკვირველია, მარტო ამ პასუხებში როდია ბრძოლაში წარმატების მოპოვების მთელი შესაძლებლობები.

კონკურენციის დროს გასათვალისწინებელია ერთი თანამედროვე ტენდენცია: განვლილი ოცდაათწლეული განვითარებულ ქვეყნებში დამახასიათებელი იყო იმით, რომ სწრაფად ვითარდებოდა მომსახურების სფერო (რესტორნები, სასტუმროები, ავიახაზები, სილამაზის სალონები, თავისუფალი დროის მომსახურების ფირმები, ჯანმრთელობის კლუბები და სხვ.), მაგრამ 90-იანი წლებიდან მომსახურების ბაზარმა შემცირება იწყო, რაც გამოწვეული იყო ამ სფეროს მეტიძმეტი გაფართოებით და გაძლიერებული კონკურენციით.

ამის გამო, ალბთ ბევრ მათგანს მოუწიეს ორიენტაციის შეცვლა.

კონკურენციულ ბრძოლაში ოთხი როლი გამოიყოფა: ლიდერის, ლიდერობაზე პრეტენდენტის, მდევარის (მიმყოლის), საბაზრო სირთულეებში ჩაფლულის.

კონკურენციულ ბრძოლაში მნიშვნელოვანია თუ როგორ ვუდგებით და ვიყენებთ საქონლის კონკურენტუნარიანობას. ამ შემთხვევაში ამოსავალი მოსაზრება ის არის, რომ მომხმარებლის ორიენტაცია საქონლის კონკურენტუნარიანობის ცნებას სამომზმარებლო თვისებების კომპლექსთან–პროდუქციის ხარისხთან და ღირებულების მახასიათებელთან აკავშირებს.

ხარისხი–ეს ხომ პროდუქციის თვისებაა, რომელიც განაპირობებს მის ვარგისიანობას, სარგებლიანობას და უნარს დააქმაყოფილოს მომხმარებლის განსაზღვრული მოთხოვნილებები დანიშნულების შესაბამისად.

საქონლის კონკურენტუნარიანობა შეიძლება შეფასდეს შემდეგი მაჩვენებლებით:

1. ცალკეული მაჩვენებლებით–ეს არის ერთი რომელიმე ტექნიკური ან ეკონომიკური პარამეტრის ინდექსი (პროცენტული შეფარდება) კონკურენტთა ანალოგიური მაჩვენებლის მიმართ;

2. კომპლექსური მაჩვენებლებით–ეს არის ერთი სახის მაჩვენებელთა ჯგუფის (ეკონომიკური, ტექნიკური) დაკავშირება კონკურენტთა ანალოგიურ მაჩვენებლებთან;

3. ინტეგრალური მაჩვენებლებით—ეს არის ტექნიკური პარამეტრების ჯგუფური მაჩვენებლების შეფარდება ეკონომიკური მაჩვენებლების ჯგუფურ მაჩვენებლებთან და მისი დაკავშირება კონკურენტთა ანალიგიურ მაჩვენებელთან;

მსხვილ და სამუალო სტრუქტურებში, სადაც კარგად არის დაყენებული მენეჯმენტი, კონკურენციის დაძლევისათვის სპეციალური სამსახურები აქვთ შექმნილი, რომელიც უზრუნველყოფილია კომპიუტერული სისტემით, ინფორმაციის ბანკით; სწავლობენ კონკურენტებს, იკვლევენ და ითვლიან ვარიანტებს, აყალიბებენ კონცეფციებს, გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებს, ბიზნეს-გეგმებს, ადგენტნ რეკომენდაციებს, სრულყოფენ მართვის ფორმებსა და მეთოდებს, ხვეწენ ეკონომიკურ სტიმულებს და მათი გამოყენების წესებს და ა.შ., ასეთი ეკონომიკური სამსახურები თანდათანობით უფრო გადამწყვეტ როლს შეასრულებენ ბიზნესის საერთო სისტემაში.

კონკურენციის სახელმწიფო რეგულირება

კონკურენცია, როდესაც იგი არასრულყოფილ და უმართავ სახეს ღებულობს, მოითხოვს სახელმწიფო რეგულირებას. სახელმწიფო რეგულირება გულისხმობს ეკონომიკური და ორგანიზაციული ოპერაციების შეცვლასა და მათზე კონტროლისათვის შესაბამისი კანონების დაშვებას.

ცნობილია რეგულირების 3 ფორმა: ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი.

ეკონომიკურს მიეკუთვნება კონტროლი ფულად-საკრედიტო და ფასების პოლიტიკაზე, საქონლის ტიპებზე, შემოსავალ-გასავლის პირობებზე, სახელმწიფო გადასახდელებზე, მომსახურებისა და საქონლის სტანდარტებზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გატარებაზე, ეკონომიკური სამართლიანობის დაცვაზე; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაზე, მეცნიერული და საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაზე;

სოციალურს მიეკუთვნება გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პროგრამები და სხვ.;

სამართლებრივს მიეკუთვნება იურიდიული კანონები და კანონქვემდებარე აქტები (მიწის რესურსების, პრივატიზაციის, საკუთრების, მოქალაქეობის შესახებ და სხვ.).

სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიზანია ბაზარზე წარუმატებლობისა და გაკოტრების თავიდან აცილება, პოლიტიკური მიზნების განხორციელება (დემოკრატიზაციის გატარება და სხვ.).

ანტაგონიზმის შერბილება, სოციალური და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა.

Competition in Business

O. Keshelashvili-

Doctor of Economic Sciences, professor,
Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences

Abstract

(Internet Version)

The present article discusses the concept of competition, the types of competition, as well as its regularities, the success factors and the forms of state regulations. When competition becomes irrational and unruly, it is necessary for the government to involve in order to regulate the process. State regulation means change of economic and organizational operations and adopting new regulations so that control over the processes should be maintained.

Mainly three forms of regulations are known: economic, social and legislative.

გადასახადები, როგორც ფისკალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

თ. ლაჭუეპიანი-

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ვ. ზეიკიძე-

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

გ. მშვილდაძე -

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ხ. მურვანიძე -

სტუ-ს დოქტორანტი

რეფერატი

(ინტერნეტული ვერსია)

სტატიაში განხილულია თანამედროვე საგადასახადო სისტემა, გადასახადების ფუნქციები. აღნიშნულია, რომ გადასახა- დების ფუნქციების ეფექტიანი რეალიზაცია წარმოუდგენელია ისე- თი ძირითადი პრინციპების გარეშე როგორიცაა სამართლიანობა (თანასწორობა), ეფექტიანობა, გადახდისუნარიანობა. ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადა- სახადო პოლიტიკა აგებულია საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვა- ლისწინებით და ორიენტირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკო- ნომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, მისი ფისკალური პო- ლიტიკის გაუმჯობესებაზე. საგადასახადო სისტემის სრულყოფა- სთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა საგადასახადო სისტემის ფორმირებაზეა დამოკიდებული.

თანამედროვე საგადასახადო სისტემამ განვითარების ხან- გრძლივი გზა გაიარა. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც ეკონომიკური განვითარება, ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა საგადასახადო სისტემის ფორმირებაზეა დამოკიდებული.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს არც ერთი სახელმწიფო, რომელსაც გადასახადების გარეშე ეარსება.

„გადასახადების და საგადასახადო ურთიერთობათა ხასიათი, მათი დაწესებისა და საგადასახადო ტვირთის განაწილების პრობლემები ყოველთვის იყო ეკონომისტების, ფილოსოფოსების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში გამომდინარე იქიდან, რომ გადასახადი-ეს არის აუცილებელი და ნატურალური გამოსაღები, რომელსაც იხდის სახელმწიფო ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დადგენილი კანონმდებლობის ფარგლებში“.¹

სახელმწიფოთა და ერების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა და სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა საგადასახადო სისტემები, ასევე გადასახადების აკრეფა-განაწილებაც უფრო სამართლიან ხასიათს ღებულობდა. შუა საუკუნეებამდე

გადასახადების დამახასიათებელი ნიშანი იყო დაბეგვრის ნატურალური ფორმა. შუა საუკუნეების გვიანი პერიოდის აგრარული სფეროში გამოწვეული ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა და კავშირებულია საქონლურ და ფულად მეურნეობაზე გადასვლასთან, რომელსაც საფუძველი XII საუკუნიდან ჩაეყარა. ეს ორივე ფორმა-გაცვლითი და ფულადი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ნატურალური გადასახადის ფულადი გადასახადით შეცვლა, პირველ რიგში, სწორედ გაცვლით სფეროში ხდება.

რაც უფრო მტკიცდებოდა ფულადი ფორმა, მით უფრო ღებულობდა გადასახადი ფულად ფორმას. ყველაზე ადრე საქონლურიდან ფულად ფორმაზე გადასვლა მოხდა ინგლისში, სადაც ნატურალური გადასახადი იცვლებოდა განსაზღვრული ფულადი რენტით. მეორე მნიშვნელოვანი ფორმა საბატონო ბეგარის ფულადი ღალით შეცვლა იყო, რომელსაც თანდა-თანობითი ხასიათი ჰქონდა.

თითქმის ყველა ქვეყანაში, საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება დაიწყო შუა საუკუნეებში და მის წინა პერიოდში. სახელმწიფოთა ჩამოყალიბების კვალობაზე

¹ მოსიაშვილი ვ; ჭელიძე მ. ფინანსების საფუძვლები. გამომც. უნივერსალი, თბ; 2012, გვ.106.

სახელისუფლებო მმართველობა ძირითადად ძალაზე იყო და-
მყარებული. ხელისუფალთა მოთხოვნილებების დაკმაყოფი-
ლება ხდებოდა მათი საადგილმამულო შემოსავლებით და ქვე-
შევრდომებიდან ერთდროული გადასახადების აკრეფით.
გადასახადების ფორმირებისა და განვითარების ისტორიის
შესწავლა ადასტურებს მათი შემოღების აუცილებლობას.

ნებისმიერ ქვეყანაში, მიუხედავად ეკონომიკური განვი-
თარების დონისა, ყოველთვის დგას ფინანსური რესურსების
მოზიდვის, მისი საკმარისობის და შემდეგ განაწილება-გადა-
ნაწილების პრობლემა, რომლის რეგულირებაშიც მნიშვნელო-
ვან როლს სწორედ საგადასახადო პოლიტიკა თამაშობს.

„საგადასახდო პოლიტიკა-ეს არის გადასახადების ასა-
კრეფად სახელმწიფოს ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც
ტარდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, წარ-
მოების მოცულობასა და მოსახლეობის გადახდისუნარიან
მოთხოვნას შორის დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით“.²

საგადასახადო პოლიტიკის რეალიზება წარმოებს საკა-
ნონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, რო-
მლითაც გათვალისწინებულია გადასახადები და მათი სახე-
ები, გადასახადის სუბიექტები, გადასახადის ობიექტები, საგა-
დასახადო დაბეგვრის განაკვეთები, საგადასახადო შეღავა-
თები, გადასახადების ჩარიცხვის წესები შესაბამისი დონის
ბიუჯეტებში და საგადასახადო სამართალდარღვევებთან და-
კავშირებული სამართლებრივი ნორმები.

ცნობილია, რომ გადასახადები ორ ძირითად ფუნქციას
ასრულებს: ფისკალურსა და მარეგულირებელს. ფისკალური
ფუნქცია ვლინდება გადასახადის სახელმწიფო ფინანსური
რესურსებით უზრუნველყოფაში, რომელიც აუცილებელია სა-
ერთო-სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებების შესასრულებ-
ლად. ხელისუფლება გადასახადების ფისკალური ფუნქციის
მეშვეობით უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და გასავლებს
შორის ბალანსის მიღწევას;

²ბახტაძე ლ; კაკულია რ; ჩიკვილაძე მ. საგადასახდო საქმე. გამომც. –
თბ.: ვერუ, 2007, გვ. 75-76.

- საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის საგადასახადო შემოსავლების თანაბარზომიერად განაწილებას;
- სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ღონისძიებების დაფინანსებას;
- სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა გადასახადების ფისკალური ფუნქციის მნიშვნელობა. მე-20 საუკუნისთვის დამახასიათებელი იყო ყველა სახელმწიფოში საგადასახადო შემოსავლების ზრდა, რასაც ხელი შეუწყომსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებმა, წარმოების ზრდამ და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვამ.

გადასახადების ფისკალური ფუნქცია, რომლის საშუალებითაც წარმოებს ეროვნული შემოსავლის ნაწილის განსახელმწიფოებრიობა ფულადი სახით, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ობიექტურ წინაპირობას ქმნის, სწორედ ამიტომ გადასახადების ფისკალური ფუნქცია განაპირობებს მისი მარეგულირებელი ფუნქციის განვითარებას.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ რა ეროვნული შემოსავლის განაწილებით პროცესში, ასტიმულირებენ ან ანელებენ წარმოების ტემპებს, აძლიერებენ ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, ადიდებენ ან ამცირებენ მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია მჭიდროდაა დაკავშირებული ფისკალურ ფუნქციასთან. სახელმწიფოსათვის ეროვნული შემოსავლის ნაწილის მობილიზაცია, იქნება ეს მისი გადიდების თუ შემცირების პოზიციიდან, მუდმივ კავშირშია კერძო სუბიექტებთან, წარმოებასთან, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას აძლევს ხელისუფლებას რეალური ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკაზე და კვლავწარმოების ტემპებზე. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის მეშვეობით წარმოებს: მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება; მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების შემოსავლების შედარებითი გამოთანაბრება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება; ეკონომიკის ხელშეწყობა და სტიმულირება.

გადასახადები შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკის დარგობრივ, შიდადარგობრივ, დარგთაშორის და რეგიონალურ დონეზე.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის განხილვა უკავშირდება გადასახადის ოპტიმალური სიდიდის ცნებას. ცნობილია, რომ გადასახადების წარმოშობიდან დღემდე დგას მარადიული კითხვა: როგორია გადასახადის ოპტიმალური სიდიდე? ძალიან ხშირად საგადასახადო ტვირთი განიხილება როგორც სახელმწიფოს მიერ ამოღებული გადასახადების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან. „საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო სიმძიმე) არის განზოგადებული მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს გადასახადების როლს საზოგადოების ცხოვრებაში და განისაზღვრება საგადასახადო შემოსავლების საერთო ჯამის ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან შეფარდებით“³.

მთლიანი შიდა პროდუქტი იზომება ფულად ერთეულებში. საგადასახადო ტვირთის ზრდა ამცირებს სამეწარმეო აქტივობას. თუკი მეწარმე თავისი შემოსავლების დიდ ნაწილს იხდის ბიუჯეტში (საგადახადო ტვირთის ზრდის შემთხვევაში) გადასახადების სახით, ცხადია მცირდება მის განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების სიდიდე და კლებულობს მისი შესაძლებლობა და მოტივაცია გააგრძელოს და გააფართოვოს კვლავწარმოება, ან არადა იგი მიმართავს შემოსავლების ჩრდილში მოქცევას. ამასთან, საგადასახადო ტვირთის გაძლიერებას მივყავართ ერთობლივი მოთხოვნის ისეთი კომპონენტების კლებამდე, როგორიცაა ერთობლივი მოხმარება და ინვესტიციები. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება წარმოშობს წარმოებული ეროვნული პროდუქტის რეალიზაციის პრობლემას. ამას შედეგად მოყვება ერთობლივი მიწოდების კლება. სამართლიანია საწინააღმდეგო მტკიცებაც, კერძოდ ის, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირება იწვევს მოსახლეობის დანაზოგების ზრდას და მისი მსყიდველუნარიანობის ზრდას, რაც, ბუნებრივია იწვევს მათი მხრიდან ერთობლივი მოხმარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების

³როგავა ზ. გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. – თბ.: 2002, გვ. 79.

ზრდას. ამრიგად, გადასახადების განაკვეთების ცვლილება იწვევს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას ან პირიქით, მის სტაგნაციას. ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობაზე საგადასახადო პოლიტიკის გავლენის რაოდენობრივი შეფასება წარმოებს საგადასახადო მულტიპლიკატორის მექანიზმის მეშვეობით. საგადასახადო მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, თუ გადასახადის შემცირების ყოველ ერთეულზე რამდენით იზრდება ერთობლივი შემოსავალი.

სახელმწიფო ხარჯების მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, თუ სახელმწიფო ხარჯების ერთი ერთეულით გაზრდა ერთობლივი შემოსავლის ზრდას რა მოცულობით გამოიწვევს. გადასახადების ფუნქციების ეფექტიანი რეალიზაცია წარმოუდგენელია ისეთი ძირითადი პრინციპების გარეშე, როგორცაა: სამართლიანობა (თანასწორობა), ეფექტიანობა, გადახდისუნარიანობა.

სამართლიანობის (თანასწორობის), პრინციპის დაცვის მიზანია გადასახადების სიმძიმის (ტვირთის) თანაბარი გადანაწილება გადასახადის ნებისმიერი კატეგორიის გადამხდელზე. სხვა სიტყვებით, ნებისმიერი გადამხდელი ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად თანაბარ პირობებში უნდა იქნენ ჩაყენებულნი. „როგორ უნდა განაწილდეს მოსახლეობაზე გადასახადის სიმძიმე? როგორ დავადგინოთ სამართლიანია თუ არა საგადასახადო სისტემა? ყველა იმ აზრისაა, რომ საგადასახადო სისტემა სამართლიანი უნდა იყოს, მაგრამ არ არსებობს საერთო აზრი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს საგადასახადო ტვირთის განაწილების თანასწორობა და როგორ უნდა შეფასდეს საგადასახადო ტვირთის სამართლიანობა“.⁴

ეფექტიანობის პრინციპმა უნდა უზრუნველყოს გადასახადების ეფექტიანობა, კერძოდ, გადასახადების გადახდის გზით ფინანსური რესურსების გადანაწილებისას როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე გადამხდელისათვის, გადასახადის გადახდის არასასურველი შედეგები მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. გადახდისუნარიანობის პრინციპი გულისხმობს

⁴მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. გამომც. დიოგენე, თბ, 2008, გვ. 242.

ისეთი გადასახადების განსაზღვრას, რომლის დროსაც ამო-
სალები თანხის სიდიდე დამოკიდებულია შემოსავლების მო-
ცულობაზე. იგულისხმება, რომ მოსახლეობის მაღალშემო-
სავლიანი ფენები დაიბეგრონ მაღალი გადასახადებით, ხოლო
დაბალშემოსავლიანები - უფრო დაბალი გადასახადებით.

გადასახადების განსაზღვრის პრინციპების დაცვის სა-
უკეთესო ბერკეტს პროგრესული საგადასახადო სისტემა
უზრუნველყოფს. პროგრესული დაბეგვრის თეორიის თანა-
ხმად, „საგადასახადო განაკვეთები და ტვირთი იზრდება გა-
დამხდელის შემოსავლების ზრდის პარალელურად. მდიდარი
გადამხდელი უნდა დაიბეგროს როგორც აბსოლუტურად ისე
შეფარდებით უფრო მეტად, ვიდრე ღარიბი“.⁵

პროპორციული დაბეგვრის თეორიის თანახმად, შემოსა-
ვლების სიდიდის მიუხედავად, ყველა გადამხდელი იბეგრება
თანაბარი ოდენობით (პროცენტით).

საგადასახადო ტვირთის გადაკისრების თეორიის თანა-
ხმად, გაცვლისა და განაწილების პროცესში პირს (იმპო-
რტიორი, მწარმოებელი, მყიდველი) კანონით უფლება აქვს
გადასახადის გადახდა გადაკისროს სწვა პირს (მყიდველი,
გამყიდველი).

საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო
პოლიტიკა აგებულია საზღვარგარეთის განვითარებული საბა-
ზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გათვალი-
სწინებით და ორიენტირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-
ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, მისი ფისკალური
პოლიტიკის გაუმჯობესებაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემა ძირითადად ჩა-
მოყალიბდა 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, რომელსაც
საფუძვლად დაედო მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები და
ამ სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილება.

„საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს საქა-
რთველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გა-
დასახადების დაწესების, შეცვლის, გაუქმების და გადახდე-
ვინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადა-

⁵ კოპალეიშვილი თ; ჩიკვილაძე მ. გადასახადები და დაბეგვრა. თბ,
2011, გვ. 34.

სახდო ორგანოებისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას“⁶.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ერთდროულად განსაზღვრავს საქართველოში მოქმედ ადგილობრივ და საერთო-სახელმწიფოებრივ (ცენტრალიზებულ) გადასახადებს, განსაზღვრავს საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების გამოაწერიშებისა და გადახდის წესებს და ახორციელებს ამ გადასახადების შემოღებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. რაც შეეხება ადგილობრივ გადასახადებს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ- შემოიღონ თუ არა თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული და მოქმედი გადასახადების სისტემა მოიცავს საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებს.

2011 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა მანამდე არსებულისაგან როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით. მისი მიზანია ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესება, რაც გულისხმობდა უფრო ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების შემოღებას და საგადასახადო სისტემის გამარტივებას ნაკლებეფექტიანი გადასახადების გაუქმების გზით, აგრეთვე გადასახადების გაანგარიშების მეთოდიკის გამარტივებას და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრებას და სხვა.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების სიტემა მოიცავს 5 საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს და 1 ადგილობრივ გადასახა-

⁶საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბ, 2011.

დს. შეცვლილია მათი საგადასახადო განაკვეთები და გადახდის რეჟიმები.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელიც შემოსავალს იღებენ საქართველოში არსებული წყაროებიდან. რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც გამოითვლება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვებს შორის. ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისას შემოსავალი იბეგრება 20 %-ით.

მოგების გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს საწარმო და უცხოური საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. დაბეგვრის ობიექტია მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვის თანხას შორის. ამასთან, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია როგორც შემოსავლები, ისე ხარჯები. ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/ და საქმიანობით ხელფასის, ეკონომიკური სარგებლის ან სხვა სახით ფულად ან ნატურალურ ფორმაში მიღებული შემოსავალი. საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 %-ით.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) ამ გადასახადით იბეგრება დასაბეგრი ბრუნვა, რომელიც საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციებისა და დასაბეგრი იმპორტის თანხების ჯამია. დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება საქონლის (მომსახურების) საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე. დასაბეგრი იმპორტის თანხა ტოლია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული საქონლის სატარიფო ღირებულების და საქართველოში საქონლის იმპორტისას გადასახდელი გადასახადებისა და მოსაკრებლების თანხების ჯამისა, საქართველოში გადასახდელი დღგ-ის ჩაუთვლელად. დღგ-ის განა-

კვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18 %-ს.

აქციზის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც აწა-რმოებენ საქართველოში აქციზურ საქონელს, ახორციელებენ აქციზური საქონლის იმპორტს ან/და ეწევიან შავი და ფერადი ლითიონების ექსპორტს. აქციზით დაბეგვრის განაკვეთები დიფერენცირებულია. ამ გადასახადით აქციზური საქონლის ექსპორტი არ იბეგრება, გარდა შავი და ფერადი ლითონების ექსპორტისა.

იმპორტის გადასახდით იბეგრება პირი, რომელიც საქა-რთველოს საზღვარზე გადაადგილებს ტვირთს, გარდა საქონლის ექპორტისა. იმპორტის გადასახადის დასაბეგრი ბაზა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის სატარიფო ღირებულებით, დღეისათვის მისი განაკვეთები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით შეადგენს - 0 %-ს; 5 %-ს და 12%-ს.

რაც შეეხება ადგილობრივ-ქონების გადასახადს, ამ გადასახდით იბეგრება ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში, სარგებლობაში) არსებული ქონება.

ქონების გადასახადის ობიექტია სხვადასხვა სახის ქონებაზე (მიწა, სატრანსპორტო საშუალებები, არამატერიალური აქტივები, სხვა უძრავი ქონება, ძირითადი საშუალებები) საკუთრების უფლება. ქონების გადასახადით დაბეგვრის განაკვეთები დიფერენცირებულია რეზიდენტი და არარეზიდენტი საწარმოსათვის და სხვადასხვა შემოსავლების მქონე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია მკაცრი საგადასახადო კონტროლი გადასახადის გადამხდელთა მიერ გადასახადების გამოანგარიშების სისწორესა და დოკუმენტის გადახდაზე, გადასახადების ადმინისტრირების და მოკრების თაობაზე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისა და მისი შესრულების კონტროლი დაკისრებული აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს. კერძოდ, საგადასახადო კონტროლის უფლება მინიჭებული აქვს საგადასახადო ორგანოს

და ნაწილობრივ შემოსავლების სამსახურთან არსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ძირითადად ფისკალურ მიზნებს ემსახურება და არ ითვალისწინებს პირის მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნას.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკის მიზანია კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე ბიზნესის დაწყების და განვითარებისათვის, მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა. ამ მიზნით, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინებით, ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება, საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1.ლ.ბახტაძე,რ.კაკულია,მ.ჩიკვილაძე-„საგადასახადო საქმე“.თბ.2007.
- 2.გ.გვაზავა-„რიგ საკითხებში საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი მალზე უარესია“.ქ.“აუდიტი,აღრიცხვა და ფინანსები“.N5 2010.
- 3.ა.მესხიშვილი - „რას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსი.“ქ. ბიზნესი და კანონმდებლობა.“თბ.აპრილ-მაისი.2011.
- 4.ს.ყამარაული,მ.ჩოკოლაშვილი,ლ.ყამარაული-„გადასახადები და დაბეგვრა.“სახელმძღვანელო. თბ.2010.

Taxes as part of fiscal policy

T.Lachkepiani-

Academic doctor of Economic,

V.Zeikidze-

Academic doctor of Economic,

Z.Mshildadze-

Academic doctor of Economic.

B.Murvanidze-

Master student

Abstract (Internet Version)

The article describes the modern tax system, tax functions, that effective implementation of tax functions is impossible without fundamental principles such as equity, efficiency, solvency. It also notes that Georgia's tax system and tax policy are based on the experience of countries with the development of the foreign market and are aimed at promoting the social and economic development of our country and improving its financial policies. Issues related to the improvement of the tax system are important for the economic development of Georgia. Economic growth, sustainable economic development of the country and the solution of social problems facing the country depend on the tax system.

აბრობიზნესის მარკეტინგი და მიწოდებას სტრატეგიები

დალი სილაგაძე-

აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესიონალი

რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

ნაშრომში განხილულია აგრობიზნესის მარკეტინგი და მიწოდების სტრატეგიები, გაანალიზებულია აგრობიზნესში მარკეტინგის განვითარება, მარკეტინგული მიღვომა ბაზარზე, ეპროკავშირის მხარდაჭერა.

საქართველოს აგრობიზნესში მიმდინარე მოვლენები და ცვლილებები პრინციპულად ახალ მარკეტინგულ მიღვომებს მოითხოვს. დღევანდელი ქონფურნტუნარიანი საბაზრო სივრცის პირობებში წარმატების აუცილებელი პირობა მყიდველზე ორიენტირებული საქმიანობაა. აგრობიზნესმა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდების ხარჯზე უნდა შეძლოს მყიდველების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი რაოდენობის ზრდა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, აგრობიზნესის მარკეტინგის განვითარებისათვის მომზარებელთა გათვითცნობიერება, სასურსაოთ პროდუქტების მარკირება, მარკეტინგული სამსახურების შექმნის აუცილებლობა აგრობიზნესის სხვადასხვა საწარმოებთან.

აგრომარკეტინგული სტრატეგია გვიჩვენებს მიზანმიმართულ საქმიანობას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მართვას, დაგეგმვასა და ორგანიზაციას მომზარებელთა მოთხოვნის დასაქმაყოფილებლად საქონელსა და მოსახურებაზე, სოფლის მეურნეობის დარგში.

აგრომარკეტინგის მართვის ეფექტურობა, მთლიანად, დამოკიდებულია მარკეტინგულ ანალიზზე, დაგეგმვაზე, ორგანიზაციასა და კონტროლზე.

თანამედროვე ეტაპზე, აგრომარკეტინგის დაფუძნება ურთულესი პროცესია. აგრომარკეტინგი, თავის მხრივ გამოირჩევა სპეციფიკურობით. მისი ერთერთი სპეციფიკურობაა ის რომ, მცირე ბიზნესის ფორმირების დროს აგრობიზნესს ხელმძღვანელობდნენ არა სპეციალისტები, არამედ თვითონ ადგილობრივი მწარმოებლები.

ეკონომიკური საქმიანობის მაჩვნებელთა დაბალი დონე, სამწარმეო საქმიანობის სტიმულირების, რესურსების გადანაწილების

მექანიზმის არარსებობა სოფლის მუნიციპალიტეტის სფეროში აქტუალურს ხდის აგრომარკეტინგის თეორიის ჩამოყალიბებას.

აგრომარკეტინგის განვითარებამ და ეროვნული ბაზრის გაჯერებამ აგროპროდუქტებით ხელი უნდა შეუწყოს აგრობიზნესის განვითარებას.

აგრარული წარმოება მჭიდრო კავშირშია მარკეტინგთან, რომელიც გულისხმობს სოფლის მუნიციპალიტეტის გადმუშავებას, ტრანსპორტირებასა და მოშემარებლამდე მიწოდებას. გარდა ამისა, სოფლის მუნიციპალიტეტია დაკავშირებულია მომსახურების ის სფეროები, რომლებიც აწარმოებენ და ახდენენ სოფლის მუნიციპალიტეტის მომარაგებას ხანგრძლივი მოხმარებისა და სხვა სახის საქონლით.

ფერმერები, რესურსებზე მოთხოვნილებას ძირითადად მათი ბაზარზე შესყიდვით იკავიდებენ და არა თვითწარმოებით (რესურსების უმეტეს ნაწილს ფერმერები თავად კი არ აწარმოებენ, არამედ ბაზარზე ყიდულობენ). ასეთ რესურსებში შედის: ფურაჟი, სასუქი, ნავთობპროდუქტები, მანქანა-დანადგარები, შხამქიმიკატები და სხვა სახის აღჭურვილობა თუ მომსახურება.

სასურსათო პროდუქტების მწარმოებლები წარმოადგენენ გარგვეულ ჯაჭვს ფერმერებსა და საბითუმო და საცალო რეალიზატორებს შორის. დამმუშავებელ-გადამმუშავებელ საწარმოებს ბროკერების მეშვეობით შეუძლიათ სასურსათო პროდუქტები მიყიდონ ბითუმად ან ცალობით, მოვაჭრებს. ბროკერი გაყიდვების დამოუკიდებელი აგენტია, რომელიც სასურსათო პროდუქტის არც მესაკუთრე ხდება და არც სახელწოდების მფლობელი.

აგრობიზნესში მარკეტინგის განვითარება მნიშვნელოვნადა დამოკიდებული მოშემარებელთა გათვითცნობიერებაზე. ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციის მოზღვავების ეპოქაში და, შესაბამისად, მოშემარებელს საკმაო ინფორმაცია აქვს გარემოს შესახებ. მაგრამ გათვითცნობიერება მარტოოდენ ინფორმაციულ დონეზე ცოდნას კი არ გულისხმობს, არამედ ამ ცოდნის რაციონალურ და ემოციურ შეთვისებას, რომელიც გამოხატულებას ჰქოვებს შესაბამის ქმედებებში. სამწუხაროდ, აქტუალობის მიუხედავად, საქართველოში ეს პრობლემა დღემდე მეორეხარისხოვნად მიიჩნევა. ამას ემატება ისიც, რომ ადგილობრივი ბაზარი ჯერ კიდევ დაუცველია არასაიმედი პროდუქციისაგან, ხოლო შემოთავაზებული პროდუქციის შესახებ მოშემარებელთა გაცნობიერების დონე დაბალია. ევროკავშირის ქვეყნებში მოშემარებელთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვას შესაბამისი კანონმდებლობა უზრუნველყოფს, ჩვენთან კი სამოშემარებლო სფერო სათანდო რეგულირების გარეშეა

დარჩენილი. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ქართველი მომხმარებლებისათვის უსაფრთხო და უგნებელი პროდუქტების მიწოდებას. ეკოლოგიურად სუფთა, საღი პროდუქტის წარმოება და ბაზრისთვის შეთავაზება მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც გულისხმობს შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწას და ევროკავშირთან მისადაგი სტანდარტების დანერგვას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტებია განხორციელებული, როგორც სახელმწიფოს, ასევე სამოქალაქო სექტორის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ სურსათის უკანებლობის საკითხები ჩართულია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის.

ევროკავშირის პროექტების ხელშეწყობით ჩვენს ქვეყანაში გარკვეული წინსვლაა მწარმოებლების მიერ საღი და უკანებელი პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით, აგრეთვე მომხმარელთა ცნობიერების ზრდისა და მათი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ყოველივე ეს საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის ცვლილებას იწვევს. კერძოდ, ქართველი მომხმარებელი სულ უფრო მეტად ეცნობა სასურსათო პროდუქტების შეფუთვაზე არსებულ ინფორმაციას, რაც გავლენას ახდენს მის მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. პრობლემის აქტუალობის მოუხდავად, აგროსასურსათო პროდუქციისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება ნაკლებადაა შესწავლილი, რაც, თავის მხრივ, სასურსათო ბაზრის მდგრად განვითარებას და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეწყობის პრაქტიკულ განხორციელებას აბრკოლებს.

ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ, სასურსათო ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის თვალსაზრისით გარკვეული კვლევები ტარდება საქართველოში. შესწავლილია სასურსათო უსაფრთხოებისა და ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება კვების პროდუქტებისადმი. აგრეთვე გენმოდიფიცირებული სასურსათო პროდუქციისადმი მომხმარებლებისა და ფერმერების დამოკიდებულება. საქაოდ საინტერესოა საქართველოში სასურსათო პროდუქტების მარკირების ზოგიერთი საკითხის კვლევა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აგრობიზნებში მარკეტინგის გამოყენების შესახებ საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი, რაც სათანადო მეცნიერულ კვლევას საჭიროებს.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მარკეტინგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვინაიდან სასოფლო-სამუშაოები პროდუქცია წარმო-

ადგენს დაუმუშავებელ საქონელს. მისი მზა პროდუქციად გადაქცევა და მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოცემული სახის პროდუქციაზე სწორედ მარკეტინგული ოპერაციების ხარჯზე შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ოპერაციების ღირებულება სამჯერ მაღალია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებაზე, მარკეტინგის გარეშე პროდუქციის რეალიზაცია და მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება უბრალოდ, წარმოუდგენელია.

აგრობიზნესის სისტემის საწარმოები ახდენს დიდი რაოდენობით პროდუქციის რეალიზაციას, ყიდულობენ სხვადასხვა სახის წარმოების საშუალებებს. ყოველივე ამის გამო, არსებობს მჭიდრო ურთიერთობები აგრობიზნესის სისტემის მრავალ საწარმოსთან და ორგანიზაციასთან, ეროვნული მეურნეობის დარგებთან. ყოველივე ეს ქმნის მარკეტინგული სამსახურების შექმნის აუცილებელ პირობებს.

მარკეტინგული მიღორმა ითვალისწინებს ბაზარზე საწარმოს სტრატეგიასა და ტაქტიკაში ცვლილებებს. წარმოებისა და გასაღების მარკეტინგის კონცეფცია განიხილება, როგორც ერთი მთელი. მარკეტინგის სამსახურის საქმიანობა უნდა იყოს მიმართული მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ბაზრის სეგმენტების დაუფლებაზე, საწარმოში წარმოებული პროდუქციისათვის რეალიზაციის გადიდებაზე და გარანტირებული მოგების უზრუნველყოფაზე.

მარკეტინგული სამსახურის ძირითად ფუნქციას შეადგენს: გასაღების ბაზრების შესწავლა პოტენციურ მოთხოვნილებაზე; მომხმარებელთა ჯგუფების შესწავლა, რომელზედაც საწარმომ ორიენტირი უნდა გააკეთოს წარმოებასა და გასაღებაზე (მაგალითად, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება), სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიზანმიმართული ორიენტაცია საჭირო ვადებში სათანადო ასორტიმენტის და ხარისხის პროდუქციის მიღებაზე; ოპტიმალური ფასების პოლიტიკის გატარება, სარეალიზაციო ფასების დონის განსაზღვრა და რეალიზაციის პირობებიდან გამომდინარე, მათი შესაძლო ცვლილება; პროდუქციაზე მოთხოვნის ფორმირებისა და სტუმულირების დონისძიებათა სისტემის შემუშავება; პროდუქციის გასაღების ორგანიზაცია.

მარკეტინგული საქმიანობის აღნიშნულმა მიმართულებამ ადგილი უნდა დაიმკვიდროს სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში-უუნქციონური განყოფილების სახით. უფრო მსხვილი საწარმოების შემთხვევაში შეიძლება ორგანიზებული იქნეს შემდეგი განყოფილებანი: მარკეტინგული კვლევის, ფასების და ფასების პოლიტიკის, ახალი საქონლის და სერვისების დაგეგმვის, ტვირ-

თმოძრაობის, გასაღების, მოთხოვნის, ფორმირების და გასაღების სტიმულირების, რეკლამის და ა.შ.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით მკვეთრად გაიზარდა ინტერესი მარკეტინგის პრობლემების შესწავლისადმი. მარკეტინგის პრაქტიკაში შევიდა მისი კონცეფცია. იგი საშუალებას იძლევა გადაწყვეტილი იქნეს რიგი კომპლექსური საკითხები, რომლებიც აპრობირებულია მსოფლიო პრაქტიკაში:

- აღდგენილი იქნეს ორმხრივი ურთიერთობა გამყიდველსა და მყიდველს შორის, ბაზრის შესწავლის დახმარებით, განაწილებით, საქონლის გატანით და რეკლამირების ორგანიზაციით, განისაზღვროს წარმოების პარამეტრები მოთხოვნილების ხასიათის, რაოდენობისა და ხარისხის, მოსახლეობის მყიდველუნარიანობის შესაბამისად;
- განვითარდეს რეკლამა და გასაღების სტიმულირების სხვა ფორმები;
- განხორციელდეს ყველა საშუალებათა კოორდინაცია მოშბმარებლის ინტერესების დასაკაფიფილებლად, როგორც მეწარმეობის ძირითადი მიზანი.

მარკეტინგის ტაქტიკური დაგეგმვა აგრობიზნესში მოიცავს ახლო პერსპექტიული კონკრეტული დაკალების სისტემას საწარმოს სამწიარეო სტრატეგიის დარგში, როგორიცაა: ასორტიმენტის, ვაჭრობის, ფასების, რეკლამის, ფინანსების, კადრების დადგენის და შეფასების პოლიტიკა. მარკეტინგის მიმდინარე დაგეგმვაში ჩართულია:

- უახლესი მიზნები და მისი მიღწევის ძირითადი გზები;
- დაგროვილი მარკეტინგულ სიტუაციათა დახასიათება;
- კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეების შესაძლო ანალიზი.

ამრიგად, საქართველოს აგრობიზნესში მიმდინარე მოვლენები და ცვლილებები პრინციპულად ახალ მარკეტინგულ მიღვომებს მოითხოვს. დღევანდელი კონკურენტუნარიანი საბაზრო სივრცის პირობებში წარმატების აუცილებელი პირობა მყიდველზე ორიენტირებული საქმიანობაა. აგრობიზნესში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდების ხარჯზე უნდა შეძლოს მყიდველების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი რაოდენობის ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარკეტინგული სტრატეგია- pdf;
2. მ.ქობალავა-მარკეტინგული თავისებურებების განსაზღვრა ეროვნული ეკონომიკის აგრარულ სექტორში. გამომცემლობა "უნივერსალი" თბილისი 2008;
3. ნ.თოდუა-მარკეტინგის გამოყენების თავისებურებები საქართველოს აგროსასურსათო ბიზნესში. pdf

Agribusiness Marketing and Delivery Strategies

Dali Silagadze-

Akaki Tsereteli State University Associated Professor

Abstract

(Internet version)

The paper reviews agribusiness marketing and delivery strategies. Analyzing marketing in agribusiness, Marketing approach to the market, EU support, Current events and changes in agribusiness are essentially new marketing approaches. The condition of success in today's competitive market space is a buyer-oriented activity. Agribusiness should be able to attract, maintain and increase the number of buyers at the expense of ecologically pure products.

We consider it to be important for users to develop agribusiness marketing, Marking of food products, The need to create marketing services with different enterprises of agribusiness.

2. აგრარული ეკონომიკა **Agrarian Economy**

**მეცნიერებლების არსებული მდგომარეობა და
განვითარების არსებული მდგომარეობა და**

დალი სილაგაძე
ბიზნესის მართვის დოქტორი. აკ. წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესიონალი

რევერატი
(ინტერნეტ-ული ვერსია)

სტატიაში განხილულია მეცნიერებების არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, რადგანაც სოფლის მეურნეობის დარგებიდან მეცნიერებების ერთერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, რადგან ის უზრუნველყოფს საზოგადოებას სრულფასოვანი კვების პროდუქტებით, მრეწველობის სხვადასხვა დარგს კი ნედლულით. მეცნიერებებისა თავის მხრივ მოიცავს მრავალ ქვედარგს, რომელთა შორის წარმოებული პროდუქტის მოცულობითა და საერთო ეკონომიკური მნიშვნელობით წამყვანი ადგილი უკავიათ მექანიზმებას, შემდგვ კი მოდის მეღორეობა, მეფიზიკურება, მეცნიერება-მეთხოდა.

მოცულია არსებული მდგომარეობა. 2014-2018 წლის მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოში მეცნიერებების დარგში აღინიშნება პირუტყვის სელადობის კლება, იქლო რძის წარმოებამ, თუმცა არსებობს დარგის განვითარების პერსპექტივები. როგორც მოძიებული და გაანგარიშებული მონაცემებიდან ჩანს 2014 წელთან შედარებით იზრდება ხორცისა და კვერცხის წარმოება, შესაბამისად 112,9 % და 110,9 %. რაც შეეხება რძის წარმოებას წინა წლებთან შედარებით იკლებს და 2018 წელს წარმოებულია 588.8 მლნ.ლიტრი ანუ 90,3 %.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მეცნიერებების დარგის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია ცხოველთა დაავადებების კონტროლი. საქონლის ჯიშების გაუმჯობესება, კვალიფიციურ ვეტერინარებზე ხელმისაწვდომობა. შინაური ცხოველების დაავადებებთან ბრძოლა. საბორებზე ხელმისაწვდომობა. სასოფლო-სამურნეო სექტორში ფერმერებისათვის სპეციალური სასწავლო კურსების მიწოდება. მეცნიერებების ასალი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება. მეცნიერებების პერსპექტივული დარგების განვითარება (თხა, ცხვარი), მეცნიერებების პერსპექტივული დარგების განვითარება (ხოხიბი, მწყერი) რძის პროდუქტების

გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება. მეფუტკრეობის განვითარება, მეთევზეობის მეურნეობის განვითარება. კურდღლის ფერმების განვითარება. კოპერატივების შექმნა მცირე და საშუალო ფერმერების ჩართულობით.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან მეცხოველეობას ერთერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, რადგან ის უზრუნველყოფს საზოგადოებას სრულფასოვანი კვების პროდუქტებით, მრეწველობის სხვა-დასხვა დარგს კი ნედლეულით. მეცხოველეობა თავის მხრივ მოიცავს მრავალ ქვედარგს, რომელთა შორის წარმოებული პროდუქციის მოცულობითა და საერთო ეკონომიკური მნიშვნელობით წამყვანი ადგილი უკავიათ მეძროხეობას, შემდეგ კი მოდის მეღორეობა, მეფრინველეობა, მეცხვარეობა-მეთხეობა.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვნებს, რომ XXI საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოში აღინიშნება ცხოველთა სულადობის საკმაოდ სწრაფად ზრდა; მათ შორის, განსაკუთრებით მაღალი ტემპით გამოიჩინა მეფრინველეობა (49,2%) და მეთხეობა (35,4%), ხოლო მსხვილფეხა პირუტყვის (ძროხა+კამერი), ღორისა და ცხვრის რაოდენობა იზრდება შედარებით ნელი ტემპებით (14,3; 9,7 და 15,8%, შესაბამისად).

საქართველო აგრარული ქვეყანაა, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს სოფლის მეურნეობას საამაყო პერიოდი ნამდვილად არ უდგას. დაუმუშავებელი სახნავ-სათესი მიწები საკმაოდ დიდ ფართობს იკავებს. ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა, როგორიც საქართველოს აქვს, მემცნარეობა-მეცხოველეობის განვითარების კარგ საშუალებას იძლევა, თუმცა ამ შესაძლებლობას ქვეყანა მხოლოდ სწორი მიდგომით თუ გამოიყენებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ პერიოდში სოფლის მეურნეობის სექტორში საგრძნობლად გააქტიურდა სახელმწიფო, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია, და კიდევ უფრო ზრდის ამ თემის აქტუალურობას. ქართული აგრარული სექტორი დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი განვითარების სტიმულირება მხოლოდ სწორად შერჩეული და გააზრებული, კომპლექსური აგრარული პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი. მით უფრო, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამ და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებამ წარმოშვა თეორიული შესაძლებლობა ეკონომიკის გაზრდისა და ეკონომიკულ ბაზრებზე გასვლისათვის.

საკამათო არ უნდა იყოს, რომ სოფლის მეურნეობის სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ იმ ქვენებისათვის, საქართველოს ჩათვლით, სადაც დომინირებს მცირე ფერმები, გააჩნიათ

მცირე საექსპორტო შესაძლებლობები და უმუშევრობის მაღალი დონე, ხოლო იმ ქვეყნებში კი, სადაც ეკონომიკის ზრდა ემყარება კაპიტალინტენსიურ დარგებს, ფერმერებს განვითარებისა და დივერსიფიცირების მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ.

ქაოტურად და ერთჯერადად გაწეული დახმარებით ვერ მოხდა ქართული სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარება. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ რომ მხოლოდ კარგად გათვლილი და ეფექტური აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორგანულად იქნება ინტეგრირებული ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, არის ის ერთადერთი გზა, რომლითაც დაცლილი ქართული სოფლების აღდგენასა და ნახევრად მიმშილის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის პრობლემის მოგვარებას შევძლებთ.

მეცხოველეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. მეცხოველეობის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოების საერთო კეთილდღეობას. მეცხოველეობის პროდუქტები ადამიანის კვების რაციონში კალორიულობის მიხედვით 30 პროცენტს, ხოლო ცილების მიხედვით 60 პროცენტს შეადგენს.

საქართველოში მეცხოველეობის დარგში აღინიშნება პირუტყვის სულადობის კლება, იკლო რიცს წარმოებამ, თუმცა არსებობს დარგის განვითარების პერსპექტივები.

მეცხოველეობის განვითარება პერსპექტივაში შეიძლება სამირითად ეტაპად დაიყოს:

1. საკვები ბაზის სრულყოფა;
2. ცხოველტა მოვლის, მკურნალობის, შენახვის დონის ამაღლება
3. ცხოველთა ჯიშური გაუმჯობესება.

ახლა ვნახოთ სასოფლო სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების სულადობის დინამიკა საქართველოში

როგორც ჩვენს მიერ მოძიებული და გაანგარიშებული მონაცემებიდან ირკვევა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების სულადობა იკლებს დინამიკაში. ასე მაგალითად: თუ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 2014 წელს იყო 970.0 ათასი სული, 2018 წელს 909.4 ათასი სულია, ანუ 93.7 %. ასევე იკლებს ფურის და ფურ-კამეჩის, ლორის, ცხვრისა და თხის და სულადობა. უმნიშვნელო რაოდენობით იმატებს ფრინველის რაოდენობა.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების და ფრინველების სულადობის
დინამიკა
ცხრილი 1

სახეობა	ზომის ერთეუ- ლი	წლები		%, 2014 წელთან შედარებით	
		2014	2016	2018	
მსხვილფე- ნა რქოსა- ნი პირუ- ტყვი	ათასი სული	970.0	962.7	909.4	93.7
გ.შ. ფური და ფურკა- მქნი	" – "	563.0	509.3	477.4	84.7
ღორი	" – "	169.7	136.2	157.5	92.8
ცხვარი და თხა	" – "	919.6	936.5	874.8	95.1
ფრინველი	ათასი ფრთა	6657.8	8237.8	8386.0	125.9

წყარო: საქსტატი

ეს ყველაფერი გაპირობებულია სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ეპიდემიური დაავადებები და სათიბ-საძოვრების შემცირება, მტაცებელი ცხოველების დიდი რაოდენობა, კვალიფიციურ კეტერინალურ მომსახურეობაზე დაბალი ხელმისა-წვდომობა, რაც საქონლის დაცემას აპირობებს, როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონებში. ასევე მეცხოველეობის და-რგის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს სამუშაო ძალის მიგრაცია და ცოდნის გადინება.

მეცნიერებლის პროდუქტების წარმოება საქართველოში
ცხრილი 2

პროდუქტების დასახელება	ზომის ერთეული	წლები		% 2014 შედარებით	
		2014	2016	2018	%
ხორცის წარმოება	ათასი ტონა	59.3	66.1	67.0	112.9
კვერცხს წარმოება	მლნ.-ცალი	551.9	590.4	612.6	110.9
რძის წარმოება	მლნ.-ლიტრი	588.8	540.1	532.0	90.3

წყარო: საქსტატი

როგორც მოძიებული და გაანგარიშული მონაცემებიდან ჩანს 2014 წელთან შედარებით იზრდება ხორცისა და კვერცხის წარმოება, შესაბამისად 112,9% და 110,9 %. რაც შეეხება რძის წარმოებას წინა წლებთან შედარებით იკლებს და 2018 წელს წარმოებულია 588.8 მლნ. ლიტრი ანუ 90.3 %.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დაბალ პროდუქტიულობას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფერმერთა ცოდნის დაბალი დონე, მწირი ინფორმაცია ახალი ტექნოლოგიების შესახებ, ფერმერების დაბალი მოტივაცია, წარმოების საშუალებებთან, აგრარულ ბაზრებთან და კაპიტალთან მათი წვდომის სირთულე და სხვა. მესაქონლეებს პრობლემები ექმნებათ სოფლებში ვეტერინარების არ არსებობისა და მეცნიერებლების არსებული დაბალპროდუქტიული ჯიშების გამო. ასევე ეპიდემიური დაავადებების გამო. თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის დაბალი დონე, ასალ ჯიშებზე და ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა. მოსახლეობის მიგრაცია. ბაზრებზე ფასების ცვალებადობა. არასტაბილური ეკონომიკური გარემო.

მეცნიერების დარგის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია ცხოველთა დაავადებების კონტროლი. საქონლის ჯიშების გაუმჯობესება, კვალიფიციურ ვეტერინარებზე ხელმისაწვდომობა. შინაური ცხოველების დაავადებებთან ბრძოლა. სამოვრებზე ხელმისა-

წვდომობა. სასოფლო-სამურნეო სექტორში ფერმერებისათვის სპეციალური სასწავლო კურსების მიწოდება. მეცხოველეობაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება. მეცხოველეობის პრისტიული დარგების განვითარება (თხა, ცხვარი), მეფრინველეობის პერსპექტიული დარგების განვითარება (ხოხბი, მწყერი) რძის პროდუქტების გადამზუავებელი საწარმოების განვითარება. მეფუტკრეობის განვითარება, მეთევზეობის მეურნეობის განვითარება. კურდღლის ფერმების განვითარება. კოპერატივების შექმნა მცირე და საშუალო ფერმერების ჩართულობით.

აქვე, არ შემიძლია არ აღვნიშნო სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2017 წლის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები, სადაც აღნიშნულია, რომ "საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესებისა და გენეტიკური ბანკის შექმნის" მიზნით:

- ✓ მოძიებულია მეგრული წითელი საქონლის 53 ფური, 2 კურო; შესწავლილია 35 სული ქართული მთის ჯიშის ფშავ-ხევსურული პოპულაციები და შესწავლილია მათი პროდუქტიულობა;
- ✓ საქართველოს 28 მუნიციპალიტეტში (მცხეთა, გორი, ხაშური, დუშეთი, თიანეთი, თეთრი წყარო, გარდაბანი, მარნეული, ცაგერი, ლენტეხი, ამბროლაური, ონი, ჩოხატაური, ახალციხე, ახალქალაქი, აბაშა, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ზესტაფონი, სამტრედია, წყალტუბო, საგარეჯო, თელავი, ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, მარტვილი, ხობი) კორპოლოგიურად გამოკვლეულია 1213 მსხვილფეხა რქოსანი, 211 რთული ნაჯვარი ღორი, 98 კახური და სვანური ღორი; გაცემულია რეკომენდაციები.
- ✓ მოძიებულია 400 სული ტიპიური თუშური ცხვარი, 30 სული ქართული ნაზმატყლიანი ცხვარი, 40 სული ნახევრად ნაზმატყლიანი ცხვარი, 290 სული იმერული ცხვარი, 300-მდე მეგრული თხა და სვანური ღორი; მოძიებული იქნა გადაშენების და გაქრობის ზღვარზე მყოფი ნახევრად ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრის ჯიშების 17 ნერბი;
- ✓ სამეგრელოს რეგიონში შერჩეულია ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის ოჯახები;
- ✓ ჩატარებულია სასელექციო სამუშაოები ქართული მთის ძროზის ფშავ ხევსურული პოპულაციის 28 მსხვილფეხა რქოსანზე (მათ შორის 12 ფური, 14 მოზარდი);

- ✓ სამეგრელოს რეგიონში მოძიებულია მეგრული წითელი საქონელი.
 - ✓ შესწავლილია პოლტინური და შვიცური ჯიშების პროდუქტიულობა;
 - ✓ სელექციისა და გამრავლების მიზნით მოძიებული და მოშენებულია 120 კახური ღორი;
 - ✓ მეფრინველეობის სანაშენე ბირთვის შექმნის მიზნით, მოძიებული და შესწავლილია ადგილობრივი ქათმის, ჭრელი იხვის და ჯავახური ბატის პოპულაციები;
 - ✓ მოძიებულია კოლხური ხოხის კერები და შესწავლილია მათი პროდუქტიულობა; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ სულდის ტბებში მოძიებულია ფარავნის კობრის პოპულაციის ინდიკიდები;
 - ✓ სამეგრელოს რეგიონში შერჩეულია ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის ოჯახები; შესწავლისა და კვლევების საფუძველზე სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე შექმნილია ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის სასელექციო ჯგუფი; აქტიურ სეზონზე განისაზღვრა თაფლისა და სხვა პროდუქტების დაგროვების დინამიკა. სანაშენე ფუტკრის ოჯახებიდან გამოწურული იქნა 156 კგ. თაფლი; შედგენილ იქნა 15 ამანათნაყარი; მიღებული იქნა 1,5 კგ. ცვილი; დამატებითი პროდუქტები გადაყვანილი იქნა პირობით თაფლერთეულებში.
 - ✓ დამუშავებულია თაფლოვანი მცენარეების 22 სახეობის შემადგენლობა-წაბლი, ცაცხი, თეთრი აკაცია, ნეკერჩხალი, უთხოვარი, კრიპტომერია, ბზა, ბლამწარა, ბალი, პანტა, მსხალი, ტუნგი, ტყემალი, ჭნავი, ხურმა, ლიდგულა, მანდარინი, მოცვი, შექრი, წყავი, ჭყორი.
 - ✓ მოძიებული იქნა ახალი მაღალპროდუქტიული თაფლოვანი მცენარეები-ვარდკანაფა, ირმისმხალა, წვრილყვავილა;
 - ✓ შენარჩუნებულია თუთის აბრეშუმხვევიას 65 საკოლექციო, უცხოური, თანამედროვე და ადგილობრივი ჯიშები.
 - ✓ "საქატენტში" დასარეგისტრირებლად გადაცემულია მონაცემები თუთის აბრეშუმხვევიას ჯიშის შესახებ.
- ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციის აღდგენა და გაუმჯობესება ხელს შეუწყობს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდას და მოსახლეობის დაკმაყოფილებას ისეთი საჭირო კების პროდუქტებით, როგორიცაა: ხორცი, რძე, კვერცხი, თაფლი და სხვა.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ მეცხოველეობის, როგორც დარგის, უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი იძლევა მიწათმოქმედების დარგებთან რაციონალური შეთანაწყობის და სპეციალიზაციის სწორად განსაზღვრის, შრომითი რესურსების, წარმოების ანარჩენების და სხვა საჭარმოო რესურსების (მათ შორის მიწის, საწარმოო ფონდების) უფრო მიზანმიმართული გამოყენების საშუალებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, სასოფლო-სამურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებასა და წარმოების რენტაბელურ განვითარებაში აისახება. ასევე ქვეყანაში არსებობს დარგის განვითარების პერსპექტივები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.აგრობიზნესის საჭიროების შეფასების ანგარიში 2016წ ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.
- 2.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სისპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წლიური ანგარიში 2017 წელი
- 3.დ.სილაგაძე-მონიგრაფია "მცირე ბიზნესის ეკონომიკური უფექტოანობა და განვითარების პერსპექტივები იმერეთის მაგალითზე. ქუთაისი 2009წ".
- 4.სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017. ობ. 2018წ.

The condition of the breeding and development perspectives

Dali Silagadze-

Doctor of Business Management,
Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Abstract

(Internet Version)

The article discusses the situation in the livestock and the prospects of development, Because agriculture is one of the leading parts of agriculture, As it provides the public with full-fledged feeding, Various industry industries are raw materials. Livestock in turn includes a lot of subdivisions, Among which the volume of the production of production and the leading economic value of the main place occupy the hooliganism, Then comes pigeons, poultry, hygiene, and hygiene.

The current situation is given. The data for 2014-2018 shows that there is a decrease in livestock in Georgia in the field of cattle breeding, The production of milk has decreased, but there are perspectives for development of the sector. As seen from data collected and calculated, meat and egg production increases in comparison to 2014, respectively 112,9 and 110,9%. As for milk production, it is lower than previous years and produced 588.8 million liters, or 90.3% in 2018.

In conclusion, it is necessary to control animal diseases for further development of the breeding field. Improvement of goods, availability of qualified veterans. Fight against diseases of domestic animals. Special training courses for farmers in the agricultural sector. Necessary to use new technologies in breeding. Development of promising field of livestock (goat, sheep), Development of perennial perennial fields (pheasant, quail), Development of dairy products processing enterprises, Developing Beekeeping, Fisheries Development. Rabbit farms development. Creation of cooperatives and involvement of small and medium farmers.

3. ნიტროფოსკისა და ტერავეტის გავლენა სიმინდის ფქვილის პროდუქციის ხარისხზე ეკოქიმიური ექსპერტიზის თვალსაზრისით

**ნიტროფოსკისა და ტერავეტის გავლენა
სიმინდის ფქვილის პროდუქციის
ხარისხზე ეკოქიმიური ექსპერტიზის
თვალსაზრისით**

**ნიკოლოზ ასაშვილი-
დოქტორანტი,
გიორგი დანელია-
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი**

რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

გორის რაიონის სოფ. შინდისში ყავისფერ ნიადაგებზე გავრცელებულ სიმინდის კულტურის „ქართული კრუგის“ პროდუქტიულობის გაუმჯობესების მიზნით გამოყენებული იქნა კომპლექსური სასუქი ნიტროფოსკა და პროლონგირებული სუპერაბსორბენტი „ტერავეტი“, რისთვისაც ბაზისური მეთოდებით შესწავლილი იქნა ფქვილის ხარისხობრივი მაჩვენებლები და მისი შესაბამისობა სტანდარტის დიაპაზონტან, რის საფუძველზეც დადგინდა: ცდის სქემის შესაბამისად სარწყავ და ურწყავ ზონებში, უსასუქო ვარიანტთან შედარებით, იზრდება სიმინდის ფქვილის ბიოქიმიური პარამეტრები („ნედლი“ ნაცარი, „ნედლი“ ცხიმი, საერთო ცილა). ეკოლოგიური თვალსაზრისით ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე ბევრად დაბალია ნიტრატული აზოტი და მძიმე ლითონების (ტყვია, კადმიუმი, ვერცხლი, ვერცხლისწყალი) ხვედრითი წილი, რაც მნიშვნელოვანია პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავისა და ბიოლოგიური სრულფასოვნების დადგენის მიზნით.

კვების პროდუქტებიდან გამოყენების უნივერსალობით ხასიათდებიან მარცვლოვნები, რომლის მოცულობაზეა დამოკიდებული ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა, როგორც პროდუქტით ასევე მეცხოველეობის საკვებად, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის კრიტერიუმად მიჩნეულია მარცვლეულის წარმოების დონის ამაღლება, რომელიც აგრარული პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა.

მარცვლეულის ხარისხი განისაზღვრება მრავალმხრივი მაჩვენებლებით, როგორიც არის ორგანოლეპტიკა, მაგრამ პრიორიტეტულია მინერალური და ბიოქიმიური პარამეტრების დადგენა და მისი შესაბამისობა სტანდარტის დიაპაზონის ზღვართან იდენტიფიკაციის მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია დადგინდეს პროდუქციის კვებითი უვნებლობა სახელდობრ პოტოქსიკური და ძლიერ ტოქსიკური ნაერთები, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები.

დღეისათვის, საქართველოში მარცვლოვანი კულტურებიდან ფართო არეალი სიმინდის კულტურას უკავია, რომელიც მდიდარია ფიზიოლოგიური და კვებითი ღირებულებით, სახელდობრ ცილების, ცხიმების, სახამებლის, ჰიდროვიტა-მინების შემცველობით, მაგრამ გეოსისტემური პროცესების გამო, უნდა იყოს დადგენილი მათი ხარისხობრივი მაჩვენებლები ეკოჯიმიური ექსპერტიზის მეთოდოლოგიის შესაბამისად [1, 2].

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ქიმიზაციის ფონზე, გორის რ-ის სოფ. შინდისში ყავისფერი ნიადაგების პირობებში, სიმინდის ჯიშის „ქართული კრუგის“ მარცვლისაგან წარმოებული ფქვილის სასაქონლო ღირსება, რის გამოც დაყენებული იქნა სტაციონალური ცდა. სადაც შევისწავლეთ ნიტროფოსკისა და ტერავეტის ზეგავლენა პროდუქციის ხარისხზე სარწყავი და უქწყავი ზონებისათვის.

სიმინდის ფქვილის ექსპერტიზა ჩატარდა ინსტრუმენტალური მეთოდებით:

- 1) თავისუფალი წყალი 60°C. გამოშრობის მეთოდით
- 2) ნედლი ნაცარი 400-450° C სხვაობის მეთოდით
- 3) „ნედლი“ ცხიმი სოქსლეტის მეთოდით

- 4) სახამებელი პოლარიმეტრიული მეთოდით
- 5) „ნედლი“ უჯრედანა გენებერგ შტომანის მეთოდით
- 6) საერთო ცილა ბარშტეინის მეთოდით
- 7) ნიტრატული აზოტი გრისის მეთოდით
- 8) მძიმე ლითონები ატომურადსორბციული მეთოდით [3]

ქიმიზაფიის გავლენა სიმინდის ფქვილის ხარისხობრივ
მაჩვენებლებზე.

ურწყავი ზონა (გორის რაიონის სოფელი შინდისი)

ცხრილი 1

ცდ-ის-სქ-ება	წყალი% 60°C %			მშრალი ნიაჟირიშვილი %			ნედლინაცია %			საქოთვის ცდლა %			ნედლი ცხიდი %			სასამართლო %			ნედლი უჯრედიანა %		
	სტ	შე	დ	სტ	შე	დ	სტ	შე	დ	სტ	შე	დ	სტ	შე	დ	სტ	შე	დ	სტ	შე	დ
უსას უქო	14	14, 1	85, 9	2,4	2,3	8-9	7,5	4,9	4,5	67	66	4,3	4,4								
ფო- ნი	14	14, 2	85, 8	2,4	2,4	8-9	8,7	4,9	4,4	67	67, 3	4,3	4,2								
ფონ ი+ ტერ ავოტ ი	14	14	86	2,4	2,4	8-9	8,9	4,9	5	67	67, 9	4,3	4,1								
ტერ ავოტ ი	14	14	86	2,4	2,5	8-9	9,2	4,9	5,1	67	67, 8	4,3	4,0								

ცდი ს სქემ ა	წყლით დინ გი %			მრალი ნივთიერება %			ნედლი ნაცარი %			საერთო ცილია %			ნედლი ცისმი %			სახამტელი %			ნედლი უჯრედანა %		
	სტ	შე დ ვ ი ო	სტ	შე დ ვ ი ო	სტ	შე დ ვ ი ო	სტ	შე დ ვ ი ო	სტ	შე დ ვ ი ო	სტ	შე დ ვ ი ო	სტ	შე დ ვ ი ო	სტ	შე დ ვ ი ო	სტ	შე დ ვ ი ო	სტ	შე დ ვ ი ო	
სასუ ქო	14	14, 2	86	2,4	2,1	8-	8,1	4,9	4,2	67	65, 5	4,	4,7								
ფონ ი	14	14, 1	85, 9	2,4	2,3	8-	8,7	4,9	4,5	67	67	4, 3	4,3								
ფონ ი+ ტერ ავეტ ი	14	14	86	2,4	2,2	8- 9	9,3 0	4,9	4,7	67	67	4, 3	4,1								
ტერ ავეტ ი	14	13, 9	86, 1	2,4	2,3	8- 9	9,7 5	4,9	4,9	67	68, 7	4, 3	4,2								

ლაბორატორიული ბაზისური კვლევის შედეგად და-დგინდა, რომ ურწყავ ზონაში უსასუქო ვარიანტთან შე-დარებით მინერალური სასუქების ფონზე ეკო სისტემასთან შესაბამისად იზრდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიე-რებანი, სახელდობრ ცილების, ცხიმების, სახამებლის ხვე-დრითი წილი და საკონტროლო ვარიანტთან შედარებით „ნედლი“ უჯრედანას შემცველობა, რაც დადებით გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ბიოქი-მიურ თვალსაზრისით. ხოლო სარწყავ ზონაში მათი ეფე-

ქტურობა შედარებით იზრდება, რაც ღირსებას მატებს ფქვილის ხარისხობრივ მაჩვენებელს.

მძიმე ლითონებისა და ნიტრატული აზოტის განსაზღვრა
სიმინდის ფქვილში ეკოქიმიური ექსპერტიზის თვალსაზრისით
მღვ/კგ.

ურწყავი ზონა (გორის რაიონის სოფელი შინდისი)

ცხრილი 3

ცდის საქმე ა	Pb		As		Cd		Cu		Zn		NO3	
	სტანდ	შედები										
უსასუქო	10	0.4	0.2	0.07	0.1	0.001	10	1.8	50	8.1	50	13.7
ფონი	10	0.2	0.2	0.03	0.1	0.003	10	1.9	50	8.2	50	12.8
ტერავეტი+ფონი	10	0.1	0.2	0.01	0.1	0.002	10	2.3	50	8	50	17.3
ტერავეტი	10	0.15	0.2	0.01	0.1	0.004	10	1.3	50	6.1	50	17.1

სარწყავი ზონა (გორის რაიონის სოფელი შინდისი)

ცხრილი 4

ცდის საქმე ა	Pb		As		Cd		Cu		Zn		NO3	
	სტანდ	შედები	სტანდ	შედები	სტანდ	შედები	სტანდ	შედები	სტანდ	შედები	სტანდ	შედები
უსასუქო	10	0.35	0.2	0.02	0.1	0.002	10	0.7	50	4.8	50	15.2
ფონი	10	0.18	0.2	0.05	0.1	0.001	10	0.9	50	5.9	50	13.8
ტერავეტი+ფონი	10	0.20	0.2	0.03	0.1	33 ^ა ლისსახით	10	0.1	50	5.2	50	16.3
ტერავეტი	10	0.21	0.2	0.02	0.1	33 ^ა ლისსახით	10	0.9	50	4.3	50	15.7

ზემოთ აღნიშნული ცხრილებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ როგორც ტოქსიკური (Pb, As, Cd) ასევე პოტოქსიკური (Cu, Zn) ელემენტები და ნიტრატული აზოტი კვალის სახით არის ამ მხრივ უვნებლობის თვალსაზრისით პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა.

დასკვნა

სამეცნიერო კვლევის შედეგად დადგინდა:

1) უსასუქო ვარიანტთან შედარებით ნიტროფოსკისა და ტერავეტის ერთობლივი გამოყენებისას იზრდება მშრალი ნივთიერების, „ნედლი“ ნაცრის, საერთო ცილის, „ნედლი“ ცხიმის და სახამებლის შემცველობა. რაც შეეხება „ნედლ“ უჯრედანას უსასუქო და ფონის ვარიანტებთან შედარებით, უმნიშვნელოდ კლებულობს რაც აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

თითქმის ანალოგიური შედეგია მიღებული მხოლოდ ტერავეტის გამოყენებისას.

2) რაც შეეხება ეკოლოგიურად უარყოფით რადიკალებს (ნიტრატული აზოტი, მძიმე ლითონები) იგი ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით ბევრად დაბალია.

3) პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასურველ შედეგად ვთვლით, როგორც ნიტროფოსკისა და ტერავეტის ერთობლივ გამოყენებას ასევე ტერავეტს, მისი დადებითი თვისებების გამო.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) გ. დანელია „კვების პროდუქტების ექსპერტიზის საფუძვლები“ გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2001 წ.
- 2) გ. დანელია, თ. ფალავანდიშვილი „კვების პროდუქტების სასაქონლო ექსპერტიზა და სამართლებრივი საფუძვლები“. გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2017 წ.
- 3) გ. დანელია, თ. ფალავანდიშვილი „ლაბორატორიული პრაქტიკუმი კვების პროდუქტების კონკიმიურ ექსპერტიზაში“. გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2011 წ.

**Influence of Nitrophoska and Teravet on the quality
of corn flour products in
terms of ecochemical expertise**

N. Asashvili-

Master student,

G. Danelia-

Academic Doctor of Agriculture

Abstract

(Internet version)

Influence of Teravet on the quality of corn culture products of „Kartuli Krugi” has been studied.

As a result of ecochemical expertise, their biochemical completeness and food safety was established on the example of Gori region village Shindisi.

4. მემკვიდრეობა plant-industry

მესიმინდეობის გაცითარებისათვის საქართველოში

ზეინაბ ახალაძე-

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესიონალური

რეფერატი

(ინტერნეტ-ული ვერსია)

სიმინდი წარმოშობით ამერიკული კულტურაა, რომლის შემდგომი გავრცელება ევროპასა და სხვა კონტინენტებზე მხოლოდ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ გახდა შესაძლებელი. რაც შეეხება საქართველოს, პირველი ცნობები სიმინდის კულტურის შესახებ გაჩნდა მეჩვიდმეტე საუკუნეში, იტალიელი მისიონერის ჩანაწერებში, სამეგრელოს ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს. უკვე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის კი სამეგრელოდან სიმინდი სარეალიზაციოდ გადიოდა თურქეთში, საფრანგეთსა და იტალიაში. რაც შეეხება საქართველოში სიმინდის წარმოების გეოგრაფიას, იგი მოიცავს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ მხარეს, თუმცა ნათესი ფართობისა და მოსავლის მიხედვით ლიდერობს დასავლეთ საქართველო.

სიმინდი, როგორც საკვები კულტურა ხასიათდება მაღალი მოსავლიანობითა და საუკეთესო კვებითი ღირებულებით. სიმინდისაგან შეიძლება მივიღოთ 100 მეტი სახეობის პროდუქტი. სიმინდის მარცვლიდან ამზადებენ სიმინდის ფქვილს, ღერღილს, საბირტს, ზეთს და სხვა პროდუქტებს. სიმინდის მოყვანას აგრძელებნიკური მნიშვნელობაც აქვს, რამდენადაც იგი ხელს უწყობს მინდვრების გასუფთავებას სარეველებისაგან.

მესიმინდეობის განვითარებას საციცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის. მასზე ბევრად არის დამოკიდებული მეფრინველებისა და მეცხოველეობის დარგების განვითარებაც, რამდენადაც აღნიშნულ დარგებში არსებული დაბალი მწარმოებლობა სწორედ არასათანადო საკეთი ბაზით არის გაპირობებული. მესიმინდეობის განვითარებას დადებითი როლი შეუძლია შეასრულოს ასევე ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლების საქმეშიც. როგორც ცნობილია, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში და ასევე ზოგადად მსოფლიო ბაზარზეც საკმაოდ მაღალია სიმინდზე მოთხოვნა და მისი სარეალიზაციო ფასიც.

ფაქტობრივად არსებობს ყველა რესურსი ჩვენს ქვეყნაში სიმინდის წარმოების განვითარებისათვის. კერძოდ, ლიბერალური საგადასახადო სისტემა; თავისუფალი ბაზარი; თანამედროვე მექანიზაციის ცენტრები; მოსა-

ვლის შესანახი მუზეუმებია და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა არის საკითხები, რომელთა მოგვარების საქმეში სახლშეწყობის გარეშე დარგის განვითარება წარმოუდგენელი იქნება. ასეთ საკითხებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია: შელმისაწვდომობა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და გრძელვადიან საკრედიტო რესურსებზე; თესლის, შესაწარმო საშუალებებისა და სასუქების ხარისხის კონტროლი; მაღალმოსავლიანი ჯიშების დანერგვა; დახმარება საერთაშორისო ბაზრების ათვისებაში და მრავალი სხვა.


სიმინდი წარმოშობით ამერიკული კულტურაა, რომლის შემდგომი გავრცელება ევროპასა და სხვა კონტინენტებზე მხოლოდ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ გახდა შესაძლებელი. რაც შეეხება საქართველოს, პირველი ცნობები სიმინდის კულტურის შესახებ გაჩნდა მეტვიდმეტე საუკუნეში, იტალიელი მისიონერის ჩანაწერებში, სამეგრელოს ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს. უკვე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის კი სამეგრელოდან სიმინდი სარეალიზაციოდ გადიოდა თურქეთში, საფრანგეთსა და იტალიაში. სიმინდის კულტურას დაახლოებით სამსაუკუნენახევრიანი ისტორია აქვს საქართველოში. იგი ბევრჯერ დახმარებია ქართველ გლეხების მძიმე დროების გადატანაში.

სიმინდი, როგორც საკვები კულტურა ზასიათდება მაღალი მოსავლიანობითა და საუკეთესო კვებითი ღირებულებით. სიმინდისაგან შეიძლება მივიღოთ 100 მეტი სახეობის პროდუქტი. სიმინდის მარცვლიდან ამზადებენ სიმინდის ფქვილს, ღერლილს, სპირტს, ზეთს და სხვა პროდუქტებს. სიმინდის მოყვანას აგროტექნიკური მნიშვნელობაც აქვს, რამდენადაც იგი ხელს უწყობს მინდვრების გასუფთავებას სარეველებისაგან.

სიმინდის მრავალი სახეობა არსებობს. მხოლოდ შეერთებულ შტატებში, ჰიბრიდების ჩათვლით, სიმინდის ათასზე მეტი სახეობა მოჰყავთ. განსხვავდება მცენარის სიმაღლე, ტაროს სიგრძე, ფერიც. არსებობს განსხვავებული ფერის სიმინდი, კურმოდ წითელი, ყვითლი, ცისფერი, ვარდისფერი და შავი. ხშირ შემთხვევებში, ფერმერები უპირატესობას ანიჭებენ ჰიბრიდებს, რამდენადაც ისინი იძლევიან უხვი მოსავლის შესაძლებლობას. მაგრამ, ჰიბრიდული თესლიდან განვითარებულმა მცენარემ შეიძლება ვერ შეინარჩუნოს სასურველი თვისებები. საზოგადოდ ჰიბრიდები მეორე წელს 30%-ით ნაკლებ მოსავალს იძლევა. ასეთ შემთხვევაში კი ფერმერები იძულებული ხდებიან ყოველწლიურად იყიდონ სათესლე მარცვალი.

სიმინდი თავისი ნათესი ფართობით, მსოფლიოს კულტურულ მცენარეთა შორის იკავებს მეორე ადგილს, ხორბლის შემდეგ. სიმი-

ნდის დღიდ ფართობებია არგენტინაში, აშშ-ში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში. ჩვენს ქვეყანაშიც სიმინდის ნათესი ფართობი ათასობით ჰექტარს შეადგენს. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2006–2018 წლებში, საქართველოში, სიმინდით დაკავებული მიწის ფართობებმა მოცვეს 72 ათასი ჰექტარიდან 150 ათას ჰექტარამდე. დიაგრამა 1. გვიჩვენებს საქართველოში დამუშავებული მიწის საერთო ფართობს და მათ შორის სიმინდის ნათეს ფართობს. როგორც დიაგრამიდან ჩანს, მთლიანად საქართველოში, ნათესი ფართობების მოცულობა კლების ტენდენციით ხასიათდება. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულში, კლების პროცესი ფაქტორად შეუქცევადი გახდა. დაწყებული 2009 წლიდან, დღემდე ნათესი ფართობების მოცულობა 329 ათასი ჰექტარიდან ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა და 2018 წლისათვის 205 ათას ჰექტარს შეადგენდა. იგივეს თქმა შეიძლება სიმინდის ნათეს ფართობზეც. ბოლო 13 წლის მანძილზე, ყველაზე მეტ ფართობზე სიმინდი დაითვა 2013 წელს, რაც დაახლოებით 150 ათას ჰექტარს შეადგენდა, ბოლო 2018 წლის მაჩვენებელი კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და 72 ათას ჰექტარს შეადგენს.




დიაგრამა 1. სიმინდის ნათესი ფართობი საქართველოში
რაც შეეხება საქართველოში სიმინდის წარმოების გეოგრაფიას, იგი მოიცავს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ მხარეს, თუმცა ნათესი ფართობისა და მოსავლის მიხედვით უდალდ დასავლეთ საქართველო ლიდერობს. დიაგრამა 2. გვიჩვენებს სიმინდის ნათეს ფართობს რეგიონების მიხედვით. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქცის იმერეთის რეგიონს და იგი შეადგენს 30%-ს

სიმინდის საერთო ფართობიდან; შემდეგ მოდის სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი - 28%; კახეთი - 21%; გურია - 6%; ქვემო ქართლი - 5% და დანარჩენი რეგიონები - 10%.



დიაგრამა 2. სიმინდის ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით

სიმინდის წარმოების დინამიკა მოცულეულია დიაგრამა 3-ზე. მონაცემების მიხედვით, ყველაზე დიდი რაოდენობით სიმინდი წარმოებული იქნა 2012 წელს და იგი შეადგინდა 364 ათას ტონას; 2008 წელს - 328 ათას ტონას. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 2009 და 2016 წლებში, შესაბამისად 141 ათასი ტონა და 142 ათასი ტონა.



დიაგრამა 3. სიმინდის წარმოება საქართველოში ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ძალზე არასახარბილოა სიმინდით დაკავებული ფართობების მოცულობა, ასევე მისი წარმოებაც. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 90-იანი წლების შესაბამის მაჩვენებლებს. მრავალმა

ღონისძიებამ და პროგრამამ სასურველი შედეგი ჯერჯერობით ვერ გამოიღო. დასანანია, რომ ვერც სამთავრობო პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებდა სოფლად მცხოვრები მცირებიწინი (0.25-1.25 ჰექტარამდე) უერმერების ხელშეწყობას და რომელიც საკმაოდ იმედი-სმომცემად გამოიყურებოდა, ვერ შეძლო მნიშვნელოვანი შედეგების დადება. თუმცა, საკმაოდ სოლიდური თანხები დაიხარჯა და არც თუ მცირე რაოდენობის ბენეფიციარი იყო ჩართული ამ პროგრამაში. ოფიციალური მონაცემების თანახმად (ცხრილი 1), პროგრამა 2013-2016 წლებში ზორციელდებოდა, მასში ყოველწლიურად 700 ათა-სზე მეტი ბენეფიციარი იყო ჩართული და გაიცემოდა ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების სარგებელი.

წელი	თანხა (ლარი)	ბენეფიციარი
2013	190 446 914	710 479
2014	69 954 923	757 145
2015	56 858 420	767 017
2016	50 777 652	772 626

ცხრილი 1. მცირემიწიან ფერმერთ საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა

პროექტის შეფასება არაერთგვაროვანია. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სუბსიდიების გარეშეც საქართველოში იმდენივე მოცულობის მიწა მუშავდებოდა. რაც შეეხება ნათესი ფართობის ზრდას, ამას პრაქტიკულად ადგილი არ ჰქონია. ყველაფერმა ამან ფაქტიურად განაპირობა პროგრამის მოქმედების შეჩერება 2017 წელს. ცალსახად დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მხრიდან ფერმერების მხარდამჭერი პროექტების შემუშავება და განხორციელება, მაგრამ ეს საკმარისი ნამდვილად არ არის.

მესიმინდეობის განვითარებას საციცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. მასზე ბევრად არის დამოკიდებული მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარებაც, რამდენადაც აღნიშნულ დარგებში არსებული დაბალი მწარმოებლობა სწორედ არასათანადო საკვები ბაზით არის გაპირობებული. მესიმინდეობის განვითარებას დადებითი როლი შეუძლია შეასრულოს ასევე ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლების საქმეშიც. როგორც ცნობილია, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში და ასევე

ზოგადად მსოფლიო ბაზარზეც საქმაოდ მაღალია სიმინდზე მოთხოვნა და მისი სარეალიზაციო ფასიც.

ცხრილში 2 მოცემულია სიმინდის ბალანსი 2006-2017 წლებში. მონაცემებიდან ჩანს, რომ სიმინდის წლიური მოხმარება ძირითადად აღემატება მის წარმოებას. შესაბამისად, ქვეყნაში იმპორტირებული სიმინდი არ არის გათვალისწინებული დეფიციტის დასაფარად. განხორციელებული იმპორტის დიდი წილი, რომელიც ძირითადად უკრაინიდან ხორციელდება, გათვალისწინებულია რეექსპორტის მიზნებისათვის. რაც შეეხება ექსპორტს, იგი ძირითადად ხორციელდება ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, საქართველოს სიმინდით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მუდმივად მაღალ ნიშაულზეა. 2007 და 2012 წლებში კი იგი უმაღლეს სიდიდეს აღწევს.

მაჩვენებლები	2006	2010	2015	2016	2017
მარაგი წლის დასაწყისში	92	46	189	151	173
შიდა წარმოება	217	141	185	244	143
იმპორტი	42	16	71	70	80
სულ რესურსები	351	203	445	465	396
სათესლე	4	4	5	4	3
პირუბჭის საკვები	132	70	129	130	126
სასურსათო მოხმარება	140	88	136	142	132
წლიური მოხმარება	276	162	270	276	261
ექსპორტი	28	10	17	7	0
თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი	94	96	77	79	64

ცხრილი 2. სიმინდის ბალანსი

უნდა აღინიშნოს, რომ სიმინდის წარმოება საქმაოდ პერსპექტიული დარგია. ფაქტიურად არსებობს ყველა რესურსი მისი განვითარებისათვის. კერძოდ, ლიბერალური საგადასახადო სისტემა; თავისუფალი ბაზარი; თანამედროვე მექანიზაციის ცენტრები; მოსავლის შესანახი მეურნეობა და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა არის საკითხები, რომელთა მოგვარების საქმეში სახელმწიფო ხელშეწყობის

გარეშე წარმოუდგენელი იქნება დარგის განვითარება. ასეთ საკითხებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია: ხელმისაწვდომობა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და გრძელვადიან საკრედიტო რესურსებზე; დახმარება საერთაშორისო ბაზრების ათვისებაში; თესლის, შესაწამლი საშუალებებისა და სასუქების ხარისხის კონტროლი; მაღალმოსავლიანი ჯიშების დანერგვა და მრავალი სხვა.

როდესაც მარცვლეულ კულტურებზე და მათ შორის სიმინდზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს სელექციასა და მეთესლებასთან დაკავშირებული პრობლემები. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესმა ბევრი დარგი აზარალა და უამრავი თავსატეხი გაუჩინა ადგილობრივ ფერმერებს. სიმინდის სელექციით, როგორც ბიზნესსაქმიანობით ჩვენთან ერთი-ორი კომპანია თუ იქნება დაკავებული, სხვებს შემოაქვთ სათესლე მასალა, ძირითადად მდარე ხარისხის ან პაბრიდი. კონტროლის მექანიზმების გაუქმებით დაუცველი დარჩა მომხმარებელი და კეთილსინდისიერი ფერმერი, ბაზარი დაიკავა ფალსიფიცირებულმა პროდუქტმა, გაიზარდა სხვადასხვა დაავადებათა გავრცელების რისკი. პრიბლემის მოგვარება მხოლოდ დაინტერესებულ პირთა გაერთიანებით და თესლისა და სარგავი მასალების სტანდარტებისა და სერტიფიცირების საკითხებზე მუხლჩაუხრელი მუშაობით არის შესაძლებელი.

For the Development of Cornculture in Georgia

Zeinab Akhaladze-

Akaki Tsereteli State University

Associated Professor

Abstract

(Internet version)

Corn is an American culture that has spread to Europe and the Americas only after the discovery of the United States. As for Georgia, in the seventeenth century Italian missionary mentioned corn in the Samegrelo description. By the end of the nineteenth century corn was exported from Samegrelo to Turkey, France and Italy. The geography of corn production in Georgia covers both Western and Eastern parts, although Western Georgia is leading according to the area and crop.

Corn, as the food culture is characterized by high yield and best nutritional value. There are more than 100 active products available from the corn grains: corn flour, alcohol, oil and other products . Corn cultivation also has agrotechnical importance because it helps to clear the margins from the weeds.

Development of corn production is of vital importance for our country. The development of poultry and livestock production largely depends on this, since low production in the above-mentioned areas is associated with an inadequate food base.. The development of corn can play a positive role in increasing the export potential of our country. As it is known, both in our neighboring states and in general in the world market there is a rather high demand for corn and sale prices.

In fact there are all the resources for the development of corn production. Namely, the liberal tax system; Free market; Modern mechanization centers Crop storage, etc. Nevertheless, there are issues that cannot be resolved without state support. First of all, such problems are: access to modern technologies and long-term credit resources; Quality control of seeds and fertilizers; shortage of high-yielding varieties; Assistance in studying international markets and much more.

5. უცყვეტი სწავლაგის დარბაზი Continuous Studying Hall

უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი
ომარ ქეშელაშვილი

ლექცია 21 დარბაზის პირველი მობილური მობილური

21.6. პირველი მობილური მობილური კომ- პლექსური

ეს სფერო ბიზნესურ საქმიანობაში შეიძლება ითქვას, რომ უნიკალურია, რადგან რეკრეაციული კომპლექსის ისეთი ძირითადი ელემენტები, როგორიცაა ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ იქ, სადაც საამისო გეოგრაფიული (მ.შ. ლანდაპტური) და ბუნებრივი პირობები არსებობს.

ბიზნესის არეალი და მასშტაბები რეკრეაციულ კომპლექსში მაინცდამაინც დიდი არ არის, მაგრამ მომხმარებელთა დიდ ყურადღებას იმსახურებს. ზოგიერთი ქვეყანა ძირითადად ამ სახის ბიზნესს მისდევს და მისი ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროც ტურიზმია. ასეთი ქვეყნებია შვეიცარია, ავსტრია, იტალია, მონაკო და სხვ. ფართოდ არის განვითარებული ტურისტული ბიზნესი საფრანგეთში, საბერძნეთში, იაპონიაში, ესპანეთში, ინგლისში, გერმანიაში, ბულგარეთში და სხვაგან. საკურორტო პოტენციალით გამოირჩევან საბერძნეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, საქართველო, თურქეთი და სხვ.

ბიზნესს ტურიზმსა და საკურორტო სფეროში გარკვეულწილად აკონტროლებს და არეგულირებს სახელმწიფო, რაც ამ სფეროს სპეციფიკური ნიშნებით აიხსნება, რომელთაგან მთავარია ის, რომ გამოიყენება ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო და პირობები და სხვას რომ თავი დავანებოთ ეს სფერო სახელმწიფოს სასარგებლოდ განსხვავებული გადასახადებით უნდა დაიბეგროს, ამასთან, ანგარიშგასაწევია ეკოლოგიური კონტროლის ასპექტის გათვალისწინების აუცილებლობაც.

უნდა გამოიყოს ტურიზმის პრიორიტეტულობის შემდეგი ელემენტები:

- ექსპორტაბელურობის მაღალი დონე და ქვეყნის შემოსავლების ზრდაში დიდი პოტენციალი;
- მოსახლეობის დასაქმების მასშტაბური შესაძლებლობა;
- რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების რეზერვების არსებობა;
- ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების გაზრდილი სტიმულირება;
- უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო მასშტაბით ტურიზმზე მოდის: მსოფლიო მთლიანი პროდუქტის 10%; კერძო მომსახურების -10.9%; ინვესტიციების -11.8%.

საერთოდ, ტურისტული მომსახურება ერთი ქვეყნის ფარგლებს სცილდება და საერთაშორისო მასშტაბის ხასიათს ატარებს, რაც მისი ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია.

ამ სევეროში გაშლილი ბიზნესის ორგანიზაციის დროს გასათვალისწინებელია:

1. გაირკვეს მოქმედების მასშტაბი და არეალი;
2. დროულად გაფორმდეს კონტრაქტები, ლიცენზიები და სხვა დოკუმენტები სახელმწიფოსთან, მომხმარებლებთან (ტურისტებთან, დამსვენებლებთან);
3. შეფასდეს საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის დონე, მომარაგების წყაროები, ფორმები, ვადები და ა.შ.
4. დადგინდეს და გაირკვეს სპეციფიკური საკითხები, რაც უკავშირდება ტურიზმს ან საკურორტო მქურნალობას, კერძოდ, სურსათით უზრუნველყოფა, ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ექსკურსიამდლოლებით, საექიმო და ტექნიკური პერსონალით უზრუნველყოფა, მათი გამოყენების რაციონალიზაცია და სხვ.;
5. გაირკვეს საჭირო ობიექტების მშენებლობის, მათი კეთილმოწყობის, იჯარით აღების და სხვა ანალოგიური საკითხები;
6. დამუშავდეს პერსპექტიული კომპლექსური პროგრამა ბიზნესის განვითარებისა და სრულყოფისათვის;
7. გაირკვეს და გადაწყდეს ურთიერთკავშირები სხვა ბიზნესურ სტრუქტურებთან როგორც შიდა, ისე საგარეო მასშტაბით;
8. დამუშავდეს და რეალიზებული იქნას საგანგებო მენეჯმენტი და მოხდეს მისი დინამიური სრულყოფა;
9. დაიგეგმოს ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ინფორმაციის, მომსახურების (სერვისის) ახალი, პროგრესული ფორმების გამოყენება.

გასათვალისწინებელია, რომ ამ სფეროში ბიზნესის განვითარების სტაბილურობისათვის დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა მის საფუძვლიან სიტუაციურ ანალიზსა და სწორ სტრატეგიას, ინტელექტუალური და ეფექტური, ამა თუ იმ ქვენის მოსახლეობის ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებებზე აგებული მომსახურების ფორმების გამოყენებას. სწორად დადგენილ ფასებს, საერთოდ ბიზნესის მთელი სისტემის მაღალ კულტურას. სწორედ ეს უკანასკნელი წყვეტის ძირითადად ბიზნესის განვითარების წარმატებებს ამ სფეროებში.

21.7. ბიზნესის ორგანიზაცია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

ბიზნესის განვითარება ამ სფეროში თავისებურ დამოკიდებულებას მოითხოვს. მისი ძირითადი მოთხოვნა უნდა იყოს მაღალინტელექტუალობა და მაღალი პროფესიონალიზმი.

მსოფლიოში ცნობილია კერძო კლინიკები, რომლებიც ჯანმრთელობის სფეროს ეტალონებად ითვლებიან. ეს მათ მიაღწიეს სწორედ მაღალი პროფესიონალიზმით.

ამ სფეროში თაღლითობა (რომელიც შეიძლება სხვა სფეროებში ასე თუ ისე არსებობდეს, განსაკუთრებით რეკლამირების დროს), როგორც წესი, გამორიცხული უნდა იყოს. ამ სფეროს ბიზნესშე როგორც წესი, სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი აქტიურად მოქმედებს, რაც გასათვალისწინებელია ბიზნესის ორგანიზაციის დროს. მხედველობაშია მისაღები შეზღუდვები და აკრძალვები.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ბიზნესის ორგანიზაცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგ:

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამედიცინო საშუალებები და პოტენციალი საქმიანობის სპეციფიკაზე უნდა იყოს მორგებული;
2. სამედიცინო პერსონალი გამოირჩეოდეს მაღალპროფესიული დონითა და გამოცდილებით;
3. შეუფერხებლად უნდა ხდებოდეს მედიკამენტებითა და სხვა საჭირო საშუალებებით მომარაგება;
4. დაცული უნდა იყოს უმკაცრესი სანიტარული და ჰიგიენური რეჟიმი;
5. უნდა მოქმედებდეს სპეციფიკური და ორგანული მენეჯმენტი;
6. უნდა ხდებოდეს პაციენტთა გამოკვლევების ანალიზი და განზოგადება;
7. ფართოდ უნდა დაინერგოს ახალი ტექნიკურ-ტექნოლოგიური (დიაგნოსტიკური და სხვა) ხერხები, საშუალებები, მეთოდები;
8. შემოძებული იქნას მედ. პერსონალის სტიმულირებისა და სტაბილური დამაგრების მისაღები მეთოდები.

ამ სფეროს ბიზნესში გასათვალისწინებელია, რომ მის განვითარებაზე დიდი გავლენა შეიძლება იქნიოს მოწინავე და აპონბირებული მეთოდების გადმოღებამ, ეფექტური წამლების გამოყენებამ. ამიტომ ამ სფეროში მოღვაწე ბიზნესმენს საღი საქმიანი კავშირები უნდა ჰქონდეს სხვა პარტნიორებთან, მედიკამენტების დამზადებელ ფირმებთან და სავაჭრო კომპანიებთან. პრაქტიკაში უნდა

დაამგვირდოს გამოჩენილ მეცნიერთა კონსულტაციები, ახალგაზრდა კადრის სტაჟირებები მოწინავე კლინიკებში (კონტრაქტების საფუძველზე).

საერთოდ, ბიზნესი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სათუთა და ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. წესად უნდა იყოს მიჩნეული, რომ ამ სფეროში მოღვაწე ბიზნესმენი თვითონ უნდა იყოს პროფესიონალი და კარგად ერკვეოდეს მედიცინის მთელ ფილოსოფიაში.

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის თავისებურებები¹

საჭიროდ მიგვაჩნია რამდნადმე უფრო ვრცლად შევეხოთ ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საკითხებს, როგორც ყველაზე სპეციფიკურ სფეროს ეკონომიკაში.

ჯანდაცვის ეკონომიკა XX საუკუნის 60-იან წლებში წარმოიშვა, იგი შეისწავლის ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების პროცესში წარმოშობილ ეკონომიკურ კანონზომიერებებს.

სამედიცინო დახმარების მოთხოვნა და მოთხოვნილება

ჯანდაცვის ეკონომიკაში მოთხოვნისა და მოთხოვნილების სამი სახე არსებობს:

1. ტექნიკურად განსაზღვრული მოთხოვნილება (გამომდინარეობს ექიმის გადაწყვეტილებიდან);
2. თვითგანსაზღვრული მოთხოვნილება (ყალიბდება თვით პაციენტის მიერ);
3. ნამდვილი მოთხოვნა (ითვალისწინებს მკურნალობის ღირებულებას, მის ხელმისაწვდომობას და იმ გართულებებს, რომელსაც შეიძლება შეხვდეს პაციენტი სამედიცინო დახმარების დროს).

ეკონომიკისა და ჯანდაცვის ურთიერთკავშირის ორი ძირითადი ასპექტი გამოიყოფა:

1. ეკონომიკური ზარალი, რომელიც გამოწვეულია მოსახლეობის ავადობით (ნააღრევი დაინვალიდება, სიკვდილიანობა, ბუნებრივი ნამატის კლება და სხვ.);
2. ეკონომიკური ეფექტიანობა, რომლის მიღწევა შეიძლება ჯანმრთელი მოსახლეობის შრომის ნაყოფიერების ზრდით, სამედიცინო დაწესებულებათა გამართული და ყაირათიანი მუშაობით.

¹ მომზადდა: ო. გერზმავას - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“ (თბილისი, 1998წ.) მიხედვით

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა:

- სამედიცინო პერსონალის შრომის რაციონალური გამოყენება;
- სამკურნალო და დიაგნოსტიკური პროცესების მექანიზაცია, ავტომატიზაცია და რაციონალიზაცია;
- სამედიცინო დაწესებულებათა აღჭურვილობის გაუმჯობესება;
- სამკურნალო პროცესის მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაცია;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სწორი ექსპლუატაცია.

ჯანდაცვის ეფექტურობა

ჯანდაცვის ეფექტურობის განსაზღვრა უნდა ეყრდნობოდეს დანახარჯებისა და მიღებული შედეგების შედარებას, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:

1. მიღებული შედეგების ურთიერთშედარებით;
2. გაწეული დანახარჯების ურთიერთშედარებით;
3. დანახარჯებისა და მიღებული შედეგების ურთიერთშედარებით.

ჯანდაცვის დაფინანსება

არსებობს ჯანდაცვის დაფინანსების შემდეგი წყაროები:

- სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა;
- კერძო დაფინანსება;
- კერძო დაზღვევა;
- ჯანდაცვის ობიექტების მიერ სხვა სფეროებში მიღებული შემოსავლები;
- საგარეო დახმარება;
- მოსახლეობის ნებაყოფლობითი შრომითი მონაწილეობა სამედიცინო სფეროში (მოხუცებისათვის, ინგალიდებისათვის, ლტოლვილებისათვის დახმარების გაწევა).

ჯანდაცვის მენეჯმენტი

ჯანდაცვა მენეჯმენტი საერთო პრინციპებსა და მიმართულებებს ეყრდნობა. ამ თვალსაზრისით სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის ძირითადი ფუნქციებია:

1. კვლევითი სამუშაოების ჩატარება;
2. სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის წარმართვა;
3. არსებული სიმძლავრეების ეფექტური გამოყენება;
4. ფინანსები და აღრიცხვა;
5. კადრები

მართვის სტრუქტურის სრულფოფის მიზნით ყოველი განყოფილების შექმნის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს:

1. დაწესებულების საერთო პროფილი;

2. კონკრეტული ამოცანები და პასუხისმგებლობა;
 3. კომპეტენციის საზღვრები
 4. სხვა განყოფილებებთან ურთიერთდამოკიდებულება.
- მენეჯმენტის სრულყოფის ძირითადი მიმართულებებია:
- მიზნის ზუსტად და მარტივად განსაზღვრა;
 - დროის ხანგრძლივობისა და დანახარჯების სიდიდის ზუსტი განსაზღვრა;
 - ყოველგვარი დუბლირების ლიკვიდაცია;
 - თანამშრომლების უფლებამოსილებათა მკაცრი განსაზღვრა.
- ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს მართვის აპარატისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციას.

სიცოცხლის დირექტულება

მეცნიერები სვამენ ასეთ კითხვას: რა დირს სიცოცხლე? მაგრამ ეს არ არის ადვილი საპასუხო. ამისათვის სხვადასხვა მიღეომა გამოიყენეს, მაგრამ გრეგორი მენქიუს აზრით, სიცოცხლის შეფასების უკეთესი გზაა, უპირველესაც იმ რისკის დადგენა, რომლის გასაწევადაც ადამიანები მზად არიან, ხოლო შემდეგ იმ თანხის დადგენა, რაც ამ ადამიანებს უნდა გადაუხადონ ასეთი რისკის სანაცვლოდ. სიკვდილის რისკი სხვადასხვა საქმიანობისთვის სხვადასხვაა... ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანის სიცოცხლის დირექტულება დაახლოებით 10 მილიონი დოლარია.

თუმცა ვიტყვი, რომ ეს არ არის საუკეთესო მიღეომა. სიცოცხლის ღირებულების დადგენა ადამიანის გონიერივი და ფიზიკური პოტენციალის ურთიერთდაკავშირებული და კომპლექსური გაანგარიშებებით უნდა მოხდეს. ეს მეცნიერთა უბრალო თავსატეხს არ წარმოადგენს.

21.8. ბიზნესის ორგანიზაცია განათლების სფეროში

განათლება ისე, ორგორუ მეცნიერება, ბიზნესურ საქმიანობაში საკმაოდ ორიგინალური და სპეციფიკური სფეროებია. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესი ამ სფეროებში მხოლოდ სახელმწიფოებრივ შესაბამის სტრუქტურებთან შეთანაწყობით ვითარდება.

ეს სფეროები ბიზნესის „მკვებავი“ სფეროებია. განათლების სფეროში იზრდება ბიზნესმენთა, მენეჯერთა, მარკეტოლოგთა, ბანკირთა, ეკონომისტთა, ფინანსისტთა, იურისტთა, კადრების მუშაქთა, ბუღალტერთა, აუდიტთა და სხვა კადრები; მეცნიერების სფეროში კი იქმნება და მუშავდება ბიზნესის განვითარების ფორმები, მისი ორგანიზაციის მექანიზმები, მენეჯმენტის, მარკეტინგის, საფინანსო-საბანკო სისტემის სრულყოფის რეკომენდაციები; ტექნიკურ-ეკონომიკურ პრამეტრთა განსაზღვრისა და შეფასების მეთოდები; ტექნიკისა და ტექნოლოგიის საკითხები და სხვა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია პროგრესი ბიზნესში და საერთოდ მისი რაციონალური განვითარება.

ამასთან ერთად, ყურადღებას იპყრობს და საკითხის მეორე მხარეა თვით ბიზნესის გაშლა ამ სფეროებში.

მსოფლიო ბიზნესურ პრაქტიკაში ბევრი მაგალითია იმისა, რომ წარმატებით ვითარდება ბიზნესი ორგორუ განათლებაში, ისე მეცნიერებაში.

განათლების ხაზით ბიზნესურ-უპირატესად კერძომესაკუთრული და დამოუკიდებელი ფუნქციონირების და არა მოგებაზე გამოლევნების თვალსაზრისით, სტრუქტურებს წარმოადგენერ კოლეჯები, უმაღლესი სასწავლებლები, ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლები და სხვა. ბევრ მათგანს დიდი ავტორიტეტი, ნდობა და მსოფლიო რეზონანსი აქვს მოპოვებული. ასეთი სტრუქტურები ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს.

პირველი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებმაც დაიწყეს მენეჯერთა მომზადება, აშშ-ში და ევროპაში შეიქმნა 1880-იან წლებში. ამ პერიოდში შეიქმნა ბიზნესის პირველი ამერიკული სკოლა პენსილვანიის უნივერსიტეტთან და უმაღლესი კომერციული სკოლა საფრანგეთში.

კადრების სწავლების სისტემა სხვადასხვა ქვეყანაში მეტნაკლებად განსხვავებულია. მაგალითად აშშ-ში იგი შემდეგი ფორმით ხორციელდება: 1. უმაღლესი სასწავლებლები; 2. პროფესიული საზოგადოები (ასოციაციები); 3. კორპორაციები (ფირმები). უმაღლე-

სი სასწავლებლები ამზადებენ დიპლომიან პროფესიონალ მენეჯერებსა და ბიზნესმენებს, საზოგადოებები და კორპორაციები კი ეწევიან მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ამით იქმნება უწყვეტი სწავლების სისტემა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ორ ათწლეულში აშშ-ში უნივერსიტეტების რიცხვი, რომლებსაც ბიზნესის სპეციალობები გააჩნიათ, 75%-ით გაიზარდა. ამასთან, შიდასაფირმო კვალიფიკაციის ამაღლების კურსები მსხვილ და საშუალო კორპორაციათა უმრავლესობას გააჩნია.

განათლების სფეროში ბიზნესის ორგანიზაციის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდგენ:

1. ბიზნესის სფერო მკაცრად განსაზღვრული და დიფერენცირებული უნდა იყოს;
2. აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს, რომ ბიზნესს ამ სფეროში ეწეოდეს და ამის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ მეცნიერსა და სპეციალისტს, მაღალი ინტელექტის მქონესა და გამოცდილს, ვისაც უნდა ვანდოოთ ეს სპეციალისტი ბიზნესი;
3. ამ სფეროს ბიზნესში ჩართული პიროვნება უნდა ზრუნავდეს აღზარდოს შემცვლელი მეცნიერებაში, მენეჯერთა, ბიზნესმენთა, მარკეტოლოგთა და ა. შ. კადრი;
4. გასათვალისწინებელია, რომ განათლების სფეროს ბიზნესური ორგანიზაციული სტრუქტურის მასშტაბზე უნდა იყოს მორგებული მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესორთა და პედაგოგთა პერსონალი; უნდა გამოიყენებოდეს დახვეწილი მეთოდები, პროგრამები, სახელმძღვანელოები, პროგრესული ფორმები და მეთოდები.
5. სწავლების ფორმები და მეთოდები მოითხოვს მგაცრ მიზნობრიბას, დიფერენცირებას, რეგულირებას. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საქმიანი თამაშები, სწავლების ინდივიდუალური პროგრამები და ა.შ.
6. უნდა დამყარდეს კავშირები მოწინავე და მონათესავე ცენტრებთან;
7. უნდა შემუშავდეს ორიგინალური და მეცნიერთა და პროფესორპედაგოგთა მაღალ ინტელექტს მორგებული დიფერენცირებადი მენეჯმენტი, რომლის რეალიზაცია თვით მეცნიერთა, პროფესორთა, სპეციალისტთა ინიციატივასა და მრავალმხრივ მოტივაციას უნდა ეფუძნებოდეს, რომლის შემქმედები და სრულყოფის ავტორებიც თვითონ იქნებიან.

ასე რომ, როგორც განათლებაში, ისე მეცნიერებაში მენეჯმენტი თვითმართვადი უნდა იყოს, რომელიც ადვილად და

შეუფერხებლად უნდა ექვემდებარებოდეს განზოგადებასა და ტირა-
ჟირებას და რომელიც შეიძლება არაიშვიათად თვით განდეს ბი-
ზნესის საგანი-საქონელი და ბიზნესური სტრუქტურისათვის მოგე-
ბის მომცემი საშუალებაა.

ასეთ მრავალმხრივ, რთულ და შემოქმედებით დამოკიდებუ-
ლებას მოითხოვს ბიზნესი ამ სფეროში.

6. ტერმინები Terms

ომარ ქეშელაშვილი-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკონი

6.1. ეკონომიკური ზრდა

ეკონომიკური ზრდა ნიშნავს ეკონომიკის თანმიმდევრულ და დინამიურ განვითარებას, პროგრესს.

ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება მთელი ქვეყნის მასშტაბით საქონლისა და მომსახურების წლიური წარმოების (მოცულობის) გადიდებით.

ეკონომიკური ზრდის გარეშე საზოგადოება ვერ განვითარდებოდა, რადგან სისტემატიურად იზრდება ადამიანის მოთხოვნები, რაც ადექვატურად მათ დაკმაყოფილებას საჭიროებს, ეს კი შეუძლებელი გახდება თუ არ ამაღლდა ეკონომიკის ტემპები და მასშტაბები. ეკონომიკური ზრდისათვის სახელმწიფოები იყენებენ მოქნილ ეკონომიკურ ბერკეტებს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური ზრდისკენაა მიმართული მთელი ეკონომიკური სისტემა და მთელი ეკონომიკური მექანიზმი.

ეკონომიკური ზრდა ნიშნავს საწარმოო, ტექნოლოგიური, ტექნიკური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის სრულყოფას; დარგობრივი პროპორციებისა და ეკონომიკური კავშირების გაუმჯობესებას; გაწეულ ხარჯებთან შედარებით წარმოების შედეგების უპირატეს ზრდას, ეკონომიკური ეკონომიკის პრინციპებით მუშაობას და ამდენად, მთელი ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფასა და მართვის უპირატესად ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას.

ამ თვალსაზრისით საპროგრამო დებულებებს წარმოადგენს: ეკონომიკური ზრდის ორიენტაციის შეცვლა შუალედურიდან საბოლოო, სოციალურად მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადაქცევა ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად; მატერიალური რესურსებისა და სამომხმარებლო დოკუმენტის დეფიციტურობის დაძლევა (რომელიც აბრკოლებს მეურნეობის ეფექტუალურობას და წარმოების ინტენსიფიკაციას);

სამეურნეო ურთიერთობაში მომხმარებლისა-თვის პრიორიტეტის, ეკონომიკური არჩევანის უფლებებისა და შესაძლებლობების მინიჭება; საწარმოთა ფუნქციონირების საიმედო მოქმედი ხარჯთსაწინააღმდეგო მექანიზმის შექმნა.

6.2 ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა

ეკონომიკის სტრუქტურა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აბსოლუტური სტრუქტურის ეკონომიკა არცერთ ქვეყნას არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს, რადგანაც იგი უპირველეს ყოვლისა ყალიბდება ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობების შესაბამისად, რის შედეგადაც ზოგიერთ ქვეყნაში ფართოდ არის განვითარებული მრეწველობის დარგები, მათ შორის სათბობ-ენერგეტიკული, ქიმიური და სხვ. ზოგან სოფლის მეურნეობა დომინირებს, ზოგან შემოსავლის ძირითად წყაროს რეკრეაციული კომპლექსი და კერძოდ, ტურიზმი წარმოადგენს და ა.შ.

განვითარების საერთო ტენდენციებისა და ჩამოყალიბებული კანონზომიერებების მიხედვით განვითარებულ ქვეყნებში პრიორიტეტი აქვს მოპოვებული მრეწველობის დარგებს, მომსახურე სფეროს, განვითარებად და ჩამორჩენილ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დარგებს.

ეკონომიკის განსხვავებული სტრუქტურის გამო, რაც ობიექტური პირობებითაა გაპირობებული, აუცილებელი ხდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, რასაც აქვს როგორც შიდა (ქვეყნის შიგნითა), ისე გარე (საერთაშორისო, ქვეყნებს შორის) ხასიათი (მასშტაბი). უკანასკნელ ხანს შრომის საერთაშორისო დანაწილება სისტემატიურად ფართოვდება, რაც აიხსნება სხვადასხვა ქვეყნის რესურსების, ბუნებრივი და ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური, მაქსიმალურად მომგებიანი გამოყენების, ქვეყნებს შორის რესურსებისა და საშუალებების ურთიერთსასარგებლო გადანაწილების, სოციალური სფეროს წონასწორობის დაცვის საჭიროებით და ამასთანავე მეცნიერული პროგრესის გავლენით.

ეკონომიკის ისტორიულად ჩამოყალიბებული სპეციფიკური ნიშნები, სტრუქტურა, ბუნებრივი და ეკონომიკურ-პოლიტიკური პოტენციალი უპირატესად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნაში ბიზნესის საერთო სახეს, მისი განვითარების დამკვიდრებულ ტენდენციებსა და მომავლის სტრატეგიას.

საერთოდ, ეკონომიკა როგორი სტრუქტურით ხასიათდება დარგობრივი ჭრილის მიხედვით. იგი მსოფლიოს ქვეყნებში მიღებული დაჯგუფების მიხედვით მოიცავს მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროებს, კერძოდ:

1. მრეწველობას;

მრეწველობა შედგება შემდეგი დარგებისაგან: სამთომადნო მრეწველობა; სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა; ქიმიური და ნავთო-

ბქიმიური მრეწველობა; გადამტუშავებელი (კვების, მსუბუქი) მრეწველობა; მანქანათმშენებლობა (საერთო მანქანათმშენებლობა, ჩარხომშენებლობა, მოწყობილობების წარმოება); ელექტრონიკა და ელექტროტექნიკა; სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა (ავტომობილმშენებლობა, ავიასარაკეტო მშენებლობა); გემთმშენებლობა; სარკინიგზო მოწყობილობების წარმოება; სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანათმშენებლობა; სამშენებლო ტექნიკის და მასალების წარმოება; სატყეო, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამშუშავებელი მრეწველობა; მიკრობიოლოგიური, სამედიცინო, პოლიგრაფიული მრეწველობა;

2. სოფლის მეურნეობას;
3. ვაჭრობასა და მომსახურე სფეროს;
4. სამშენებლო კომპლექსს;
5. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას;
6. განათლებას, კულტურას და ხელოვნებას;
7. მეცნიერებას;
8. ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის სფეროს;
9. რეკრეაციულ კომპლექსს.

თითოეული სფერო ცალკე დარგებად და ქვედარგებად იყოფა, რაც მთლიანობაში ქნის ქვენის, რეგიონის, ფირმის დარგობრივ სტრუქტურას. ბიზნესის განვითარებას თითოეული ამ სფეროს მიხედვით დიდი სპეციფიკური და ობიექტური განსხვავებები ახასიათებს.

ეკონომიკა ძირითადი სფეროებისა და დარგების მიხედვით მოიცავს ეწ. ფუნქციონალურ მომსახურე რგოლებს, რომლებიც ქნიან ეკონომიკის მთლიან სისტემას, ხასიათდებიან ფუნქციონალური მიზნებით და განაპირობებენ მის შეწონასწორებულ და ურთიერთდაკავშირებულ განვითარებას.

მომსახურების სფერო (ანუ ინფრასტრუქტურა) შედგება შემდეგი სახის მომსახურებისაგან: მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სერვისი, სამშენებლო, კავშირგაბმულობის (საფოსტო, საკურიერო, სატელეკომუნიკაციო), სადისტრიბუციო (სავაჭრო აგენტები, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ფრანჩაიზინგი), სატრანსპორტო, საფინანსო-საბანკო, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, მეცნიერული, ტურისტული, რეკრეაციული, გარემოს დაცვის მომსახურება და მომსახურება, რომელიც არ არის შესული სხვა სექტორებში.

6.3 რეგიონული ეკონომიკა

რეგიონული ეკონომიკა უპვე დიდი ხანია, რაც მეცნიერების ცალკე დარგად ჩამოყალიბდა.

რეგიონული ეკონომიკის ძირითად შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს:

- ცალკეულ რეგიონათა ეკონომიკა;
- ეკონომიკური კავშირები ცალკეულ რეგიონებს შორის;
- რეგიონული სისტემები;
- საწარმოო ძალების გაადგილება;
- ეკონომიკური ცხოვრების რეგიონული ასპექტები.

რეგიონული ეკონომიკის ამოსავალ გაგებას წარმოადგენს ტერიტორია; დამატებითს: აკვატორია და აეროტორია, ყველა ამ ტერმინის გამაერთიანებელია გეოტორია.

რეგიონი—ეს არის განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც გასხვავდება სხვა ტერიტორიისაგან სხვადასხვა ნიშნით და ხასიათდება გარკვეული მთლიანობით, შემადგენელი ელემენტების ურთიერთდაკავშირებით.

რეგიონი ნიშნავს: ქვეყანას, მხარეს, ოლქს.

რეგიონის სინონიმად იხმარება ხოლმე რაიონი.

ტერიტორიის დაყოფას რეგიონებად ეწოდება დარაიონირება.

დარაიონება ხდება: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნით და ეკონომიკური ნიშნებით. მაგ. საქართველოში სოფლის მეურნეობის დარაიონების თვალსაზრისით გამოყოფილია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონა, 8 ქვეზონით.

საერთოდ, არსებობს ტრანსსახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისო რეგიონებიც.

რეგიონი, როგორც ეკონომიკური სივრცის ნაწილი იყოფა: ერთგვაროვან რეგიონად და საკვანძო რეგიონად (აქვს ერთი ან რამდენიმე კვანძი (ცენტრი), ასეთ რეგიონს ცენტრალურსაც უწოდებენ.

არსებობს ტერმინი რეგიონალისტიკა, რომელიც ნიშნავს სხვადასხვა მეცნიერების სინთეზურ მიღების რეგიონული გამოკვლევებისადმი.

ადრინდელ პერიოდში, რეგიონი გაიგებოდა, როგორც ბუნებრივი რესურსების, წარმოების, მოხმარებისა და მომსახურების სფეროების თავმოყრა.

ახლა კი (ახალი პარადიგმითა და კონცეფციით) მის გაგებაში აკუმულირებულია ეკონომიკური ურთიერთობები. ახალი თეორიებით

რეგიონი გამოიკვლევა, როგორც მრავალფუნქციური და მრავალასპექტიანი სისტემა.

ყველაზე მეტად გავრცელდა რეგიონის 4 პარადიგმა:

1. რეგიონი, როგორც ურთიერთსახელმწიფო (სახელმწიფოს ქვესისტემა);
2. რეგიონი, როგორც კვაზიკორპორაცია (როგორც საკუთრების და ეკონომიკური საქმიანობის მსხვილი სუბიექტი);
3. რეგიონი, როგორც ბაზარი (აქვს გარკვეული საზღვრები, არეალი);
4. რეგიონი, როგორც სოციუმი (ხალხის ერთობა—წინა პლანზე გამოდის სოციალური ყოფის და შრომითი რესურსების კვლავწარმოება).

აღნიშნულ პარადიგმებთან დაკავშირებით რეგიონული ეკონომიკის თეორიის განვითარების თანამდებროვე მიმართულებებია:

- საქმიანობის გაადგილება;
- ეკონომიკის სივრცობრივი (ტერიტორიული) ორგანიზაცია;
- რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების მედება.

რეგიონული ეკონომიკის ანალიტიკური ინსტრუმენტარიები ორ კლასად იყოფა:

1. რეგიონული ეკონომიკური ანალიზი;
2. რეგიონული ეკონომიკის მათემატიკური მოდელები.

რეგიონული ეკონომიკა ფართოდ ეყრდნობა მათემატიკურ მოდელირებას. არსებობს მათემატიკური მოდელების გამოყენების ორი ძირითადი მიმართულება:

1. თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარება და გაღრმავება;
2. პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტა.

მოდელირებით შეისწავლება ისეთი პრობლემები, როგორიცაა:

1. ცალკეული რეგიონის მოდელები:
- დარგთაშორისი მატერიალური კავშირების მოდელები;
- ფასებისა და დამატებული ღირებულების დარგთაშორისი დამოკიდებულების მოდელები;
- საბოლოო მოთხოვნილების დარგთაშორისი კავშირები (დამოკიდებულება);
- რეგიონის დარგთაშორისი მოდელები;
- ოპტიმიზაციის მოდელები;
- ეკონომეტრიული მოდელები;
- რეგიონთა ფუნქციონირების გამსხვილებული მოდელები.

2. გაადგილების მოდელები (ტვირთის ტრანსპორტირების, წარმოქმნის გაადგილების, მოსახლეობის მიგრაციის);

3. ეროვნული ეკონომიკის რეგიონთაშორისი მოდელები.

როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტებისა და ინსტრუმენტების, ინსტიტუციონალური სისტემისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის (საფუძვლების) გზით.

საქართველოში, რეგიონული ეკონომიკის, როგორც მეცნიერების განვითარებას ორ ათეულ წელზე მეტი წნის ისტორია აქვს.

რეგიონულური ეკონომიკის გამოკვლევებში ფართო ადგილი უნდა დაიკავოს ეკონომიკური მოდელირების მეთოდებმა.

6.4. მარკეტინგის არსი, კლასიფიკაცია და პრიცეპიანა

მარკეტინგი ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი რეოლია, მას საბაზრო ეკონომიკის სისტემასაც უწოდებენ.

მარკეტინგის სხვადასხვა განმარტება არსებობს, მას განიხილავენ როგორც სამეწარმეო საქმიანობას, როგორც შეხედულებათა სისტემას, როგორც ბიზნესის ფილოსოფიას. ზოგი მარკეტინგს აიგივებს გასაღებასთან და სტიმულირებასთან.

ფილიპ კოლტერის განმარტებით, მარკეტინგი—ეს არის ადამიანთა საქმიანობის სახე, რომელიც მიმართულია მოთხოვნილების, მოხმარების დასაკაყოფილებლად, გაცვლის საშუალებით.

მარკეტინგი—ეს არის ბაზართან მუშაობა გაცვლების განსახორციელებლად, რომლის მიზანია ადამიანის სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამასთან განმარტავს, რომ გაცვლები სულაც არ არის მარკეტინგის მნიშვნელოვანი ელემენტი, იგი მხოლოდ მისი ერთ-ერთი ფუნქცია.

ჯ. მერმანის გაგებით, მარკეტინგი—ეს არის საქონელზე, მომსახურებაზე, ორგანიზაციაზე, ადამიანებზე, ტერიტორიაზე, იდეებზე მოთხოვნის წინასწარმეტყველება, მართვა და დაკმაყოფილება გაცვლის მეშვეობით.

მარკეტინგი წარმოსდგება ინგლისური სიტყვისაგან ბაზარი და უნდა ითარგმნოს, როგორც ბაზრის სფეროში საქმიანობა, უფრო სწორია გამოვხატოთ როგორც ბაზართმცოდნეობა.

სხვადასხვა მეცნიერის განმარტებების, დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე თანამედროვე გაგებით მარკეტინგი უნდა განიმარტოს, როგორც: პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისა და გასაღების ორგანიზაციის კომპლექსური სისტემა, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და მოგების მისაღებად ბაზრის გამოკვლევისა და პროგნოზირების, საწარმო-ექსპორტიორთა შიდა და გარე გარემოს შესწავლის, ბაზარზე საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის დამუშავების საფუძველზე.

ამრიგად, მარკეტინგი ეს არის საბაზრო ეკონომიკის სისტემა და ლაკონური განმარტებით ბაზართმცოდნეობას ნიშნავს.

ლანდიშნავა, რომ პრაქტიკულ მარკეტინგში განასხვავებენ ბაზრის სახეებს, რეგიონალურ-მასშტაბური, ფუნქციონალური და დროითი ნიშნების მიხედვით.

რეგიონურ-მასშტაბური ნიშნის მიხედვით ბაზარი შეიძლება იყოს: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი (რაიონის, ქალაქის, სოფლის და სხვ.);

ფუნქციონური ნიშნის მიხედვით: წარმოებული საქონლის ან მომსახურების, ინტელექტუალური (გონიერივი, მეცნიერული პოტენციალის) და სხვ.

დროითი ნიშნის მიხედვით: რეალური (აქტიური, უნაყოფო, ფენოგანი-პასიური) და პერსპექტიული (მოსალოდნელი, პროგნოზირებული).

მარკეტინგის გააჩნია თავისი პრინციპები, რომელთაგან მთავარია:

1. პროდუქციის წარმოება, რაც ეყრდნობა მომზარებელთა მოთხოვნილებების ზუსტ ანალიზს, ბაზრის სიტუაციებს და საწარმოს რეალურ შესაძლებლობებს;
2. მყიდველის მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება და კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად საშუალებების უზრუნველყოფა (აღტერნატიული პრინციპი—საქონლის (მომსახურების) წარმოება, გასაღების მოსალოდნელი ძიებით);
3. დაგეგმილი რაოდენობითა და დასახულ ვადებში პროდუქციისა და მომსახურების ეფექტური რეალიზაცია განსაზღვრულ ბაზარზე;
4. საწარმოს, საწარმოო-კომერციული საქმიანობის ხანგრძლივ-ვადიანი შედეგიანი (მომგებიანი) ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც გარანტიას ქმნის სამეცნიერო-ტექნიკური იდეებისა და ნამუშევრების შეუფერხებელი რეალიზაციისათვის და ამის საფუძველზე ბაზრის სიახლეების შესაბამისად წარმოების მოსაწყობად;
5. მწარმოებლის სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთიანობა, მყიდველის მოთხოვნილებების ცვალებადობისადმი აქტიური ადაპტაციის მიზნით, მოხმარების ფორმირებასა და სტიმულირებაზე ერთდროული ზემოქმედების გათვალისწინებით.

6.5. მარკეტინგის გარემო და სუბიექტები

მარკეტინგს გააჩნია **მიკრო** და **მაკრო-გარემო**.
მიკრო-გარემო იმ პირობებისა და სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული წარმოებას, მიწოდებასა და მოხმარებასთან.

მარკეტინგის სუბიექტები არიან:

1. მიმწოდებლები (ფირმები);
2. მომხმარებლები;
3. კონკურენტები;
4. შუამავლები;
5. ამ სუბიექტების დამაკავშირებელი ფიზიკური და იურიდიული პირები, საკონტაქტო აუდიტორია.

მაკროგარემოში იგულისხმება:

- ბუნებრივი და ეკოლოგიური ფაქტორები;
- ეკონომიკური პირობები;
- დემოგრაფიული სიტუაცია;
- სამეცნიერო-ტექნიკური გარემო;
- საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატი (მდგომარეობა).
- სოციალურ-კულტურული.

თითოეული ეს ფაქტორი მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს მთელ მარკეტინგულ საქმიანობაზე და განსაზღვრავს მის საბოლოო შედეგს.

6.6 მარკეტინგის სახეები

მარკეტინგი, მოთხოვნის პრინციპის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- წევატიური ანუ უარყოფითი მოთხოვნა;
- მოთხოვნის აზრის არსებობა;
- დაბალი მოთხოვნა;
- შემცირებადი მოთხოვნა;
- მერყევი მოთხოვნა;
- ოპტიმალური მოთხოვნა.

ამოცანების მიხედვით უნდა დაიყოს:

- წევატიური მოთხოვნის პოზიტიურად გარდაქმნა;
- მოთხოვნის შექმნა;
- მოთხოვნის სტიმულირება;
- მოთხოვნის გამოცოცხლება;
- მოთხოვნის სტაბილიზაცია;
- მოთხოვნის შენარჩუნება არსებულ დონეზე.

საერთოდ, მარკეტინგის სახეებია:

- კონკერსიული;
- კრეატიული;
- სტიმულირებადი;
- რემარკეტინგი;
- სინქრომარკეტინგი;
- შემნარჩუნებელი მარკეტინგი

6.7 მარკეტინგის სტრატეგია და ფაქტიკა

მარკეტინგულ საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სტრატეგიის და ტაქტიკის სწორად განსაზღვრას, რასაც სისტემური და დინამიური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

მარკეტინგის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა მეცნიერულ მიდგომას მოითხოვს. მარკეტინგული ორგანიზაციული სტრუქტურები ამისათვის ხშირად გამოცდილ სპეციალისტებსა და მეცნიერებს ქირაობენ, რადგანაც სწორი ტაქტიკური მონახაზები და პროგრამები და სტრატეგიული გათვლები და გარაუდები საწაბილური მომებიანობის ერთ-ერთი ძრითადი საფუძველია.

მარკეტინგის სტრატეგია-არის საწარმო-მწარმოებლისა და ექსპორტიორის მიზნის ფორმირება, მიღწევა და ამოცანათა გადაწყვეტა ცალკეული ბაზრის (ბაზრის სეგმენტის) და თითოეული საქონლის მიხედვით, გარკვეულ პერიოდში (გრძელვადინი, საშუალოვადიანი) საწარმო-კომერციული საქმიანობის უზრუნველსაყოფად, საბაზრო სიტუაციებისა და საწარმოს შესაძლებლობების სრული შესაბამისობით.

მარკეტინგის სტრატეგია მუშავდება სასაქონლო ბაზრის კონიუქტურის გამოკვლევისა და პროგნოზირების, საქონლის, მყიდველის, კონკურენტებისა და საბაზრო მეურნეობის სხვა ელემენტების შესწავლის საფუძველზე. ფირმის სტრატეგია მოიცავს მარკეტინგულ სტრატეგიებს საწარმოს საექსპორტო პროგრამის ცალკეული ბაზრის მიხედვით.

მარკეტინგის გავრცელებული სტრატეგიებია: X ქვეყნის ბაზარზე პროდუქციით გასვლა; საქონლის რეალიზაციის 2-ჯერ ზრდა X ქვეყნების საბაზრო სეგმენტებში და სხვ.

მიღებული სტრატეგიის შესაბამისად ფორმულირდება მარკეტინგული პროგრამების რეკომენდაციები. ისინი შეიძლება ორიენტირებული იყოს, რისკის ხარისხისაგან დამოუკიდებლად მაქსიმუმ ეფექტზე; მინიმუმ რისკზე, დიდი ეფექტის მოლოდინის გარეშე; ამ ორი მიღომის სხვადასხვა კომბინაციაზე.

მარკეტინგის ტაქტიკა-არის საწარმოს ამოცანების ფორმირება და გადაწყვეტა თითოეულ ბაზარზე და თითოეული საქონლის მიხედვით, კონკრეტულ პერიოდში (მოკლევადიანი), მარკეტინგის სტრატეგიისა და მიმდინარე საბაზრო სიტუაციის შეფასების საფუძველზე, კონიუქტურისა და სხვა ფაქტო-რების (ფასების ინდექსის ცვალებადობა, კონკურენციული ბრძოლის გამწვავება, მოთხოვნილების სეზონური დაცემა, საქონლისადმი მყიდველის ინტერესების

დაქვეითება და სხვ.). გათვალისწინების შესაბამისად, ამო-ცანების პერიოდული კორექტირებით.

მარკეტინგის ტაქტიკური ამოცანები შეიძლება იყოს: მომხმარებელთა მოთხოვნილების შესახებ დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე საექსპორტო საქონლის ნომერკლატურის გაფართოება; მოთხოვნილების გარკვეულწილად დაქვეითების გამო გაძლიერებული სარეკლამო ღონისძიებების გატარება; გასაღების სტიმულირების მიზნით საქონელზე ფასების შემცირება; სერვისული სამსახურების მიერ მომსახურების ასორტიმენტის გაფართოება ახალ მყიდველთა მოსაზიდად; საქონლის კონსტრუქციული გაუმჯობესება კონკრეტული ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; პერსონალის სტიმულირებისათვის ღონისძიებების გატარება, რამაც უნდა უზრუნველყოს კომერციული საქმიანობის ეფექტიანობა.

საერთოდ, მარკეტინგის ტაქტიკაზე უნდა უზრუნველყოს: მოგების მყარი დონე; კომერციული სამსახურების აქტიური მოქმედება ბაზარზე; საბაზრო სიტუაციაზე სწრაფი რეაგირება; მომუშავეთა ინიციატივიანობა; კონკურენტების მოქმედებაზე საპასუხო ღონისძიებების გატარება; მყიდველის მოთხოვნების ცვლილებისდაკვალად საწარმოს სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო საქმიანობის კორექტირება.

6.8 მარკეტინგის ფუნქციები

მარკეტინგს გააჩნია თავისი ფუნქციები, როგორც ურთიერთ-დაკავშირებული მოქმედებების კომპლექსი, ამათგან ძირითადია:

1. იმ შიდა და გარე გარემოს ანალიზი, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო და მისი შესაძლებლობების შეფასება;
2. ბაზრისა და მომხმარებელთა შესწავლა და ანალიზი;
3. კონკურენტებისა და კონკურენციის შესწავლა;
4. ახალი საქონლის კონცეფციის ფორმირება;
5. საქონლის წარმოების დაგეგმვა მარკეტინგულ გამოკვლევათა საფუძველზე;
6. საქონლმოძრაობის, გასაღებისა და სერვისის დაგეგმვა;
7. მოთხოვნილების ფორმირება და გასაღების სტიმულირება;
8. ფასების პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია;
9. მარკეტინგული პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია;
10. მარკეტინგის ინფორმაციული უზრუნველყოფა;
11. მარკეტინგის მართვა;
12. კონტროლი წარმოებაზე, რისკის, მოგებისა და ეფექტიანობის შეფასებით.

ამას გარდა, დიფერენცირებული მიდგომით და კონკრეტული პირობებისა და სიტუაციების გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს მარკეტინგის ირიბი ფუნქციებიც, როგორც ძირითადი ფუნქციების შემადგენლი ნაწილები. ეს ფუნქციები პერიოდულად იცვლება და კორექტირდება. მათი გამოყოფა თვით საწარმოსა თუ მარკეტინგული სტრუქტურის ხელმძღვანელის ფანტაზიაზე, უნარსა და ინტელექტზეა დამოკიდებული. მათი სწორი ფორმულირება და რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საქმიანობის ეფექტიანობას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ერთიანი რეცეპტები, მიდგომები და პოზიციები მარკეტინგსა და ბიზნესში არ არსებობს. მისი წარმატებები ეყრდნობა ერთის მხრივ პოტენციურ შესაძლებლობებს, მეორეს მხრივ სამოქმედო გარემოსა და პირობებს, მესამეს მხრივ კი ინტელექტუალურ დონესა და დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გონივრული რეალიზაციის უნარს.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები, მარკეტინგი ანუ ბაზარმცოდნება, მარკეტინგული ურთიერთობები, წარმოადგენს ამოსავალ და ძირითად კრიტერიუმებს ბიზნესის საერთო სისტემაში და უპირატესად განსაზღვრავს წარმატებებს ბიზნესურ საქმიანობაში.

6.9 მარკეტინგული სამსახური

მარკეტინგული საქმიანობის წარმატებები მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული მარკეტინგის სამსახურზე, მისი მართვის აპარატის სტრუქტურასა და ფუნქციონირების დონეზე (ხარისხზე).

მარკეტინგის მართვის სამსახურს ან უბრალოდ, მარკეტინგის სამსახურსა და მის სტრუქტურას როგორც წესი საფუძვლად უნდა დაედოს მარკეტინგის ძირითადი ფუნქციები და სტრატეგია.

უნდა გამოიყოს ამ სამსახურის შემდეგი სახეები:

- ბაზრის კვლევის;
- საქონლის გასაღების;
- რეკლამისა და გასაღების სტიმულირების.

მარკეტინგის სამსახური შეიძლება შეიქმნას აგრეთვე რეგიონული ნიშის მიხედვით, ბაზრის სეგმენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, სასაქონლო-ტერიტორიული ან სხვა ნიშის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის, ანუ მარკეტინგული კვლევის ძირითადი ობიექტია მოთხოვნილება და მოთხოვნა, და სწორედ ამაზეა აგებული მთელი მარკეტინგული სისტემა. მოთხოვნაზე გავლენას ახდენს და პირიქით, თავის მხრივ მოთხოვნა განაპირობებს ყველა იმ ფაქტორთა გამოყენებას, რომლებიც ქმნიან მარკეტინგის მიკრო და მაკროგარემოს (პირობების).

6.10. მოთხოვნა და მიზოდება

მოთხოვნა ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრული კრიტიკულია, შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოდის საბაზრო ეკონომიკის და შესაბამისად წარმოების მარეულირებლის როლში.

ამ შემთხვევაში, ადამიანის მოთხოვნა ანუ მოთხოვნილება გაიგება არა მარტივად, არამედ, როგორც გადახდისუნარიანი მოთხოვნილება. სწორედ ამ ფორმულირებაში აკუმულირდება ზოგადად, ეკონომიკაში ხმარებული „მოთხოვნა“.

მოთხოვნა—ისეთი გარკვეული რაოდენობისა და ხარისხის პროდუქტზე მოთხოვნილებაა, რომლის ყიდვის სურვილიცა და უნარიც (შესაძლებლობაც) აქვს მომხმარებელს. ყიდვის მოცულობა (მასა), ანუ მოთხოვნის სიდიდე უმუალოდ გასაყიდი პროდუქტის ფასსა და მომხმარებლის შემოსავალზეა (უნარზეა) დამოკიდებული.

სხვანაირად, მოთხოვნა საქონელზე, ბაზარზე წარმოდგენილი მოთხოვნილებაა, რომელიც განისაზღვრება ამა თუ იმ საქონელთა რაოდენობით, რომლის შეძენაც მომხმარებლებს შეუძლიათ არსებული ფასებისა და ფულადი შემოსავლების პირობებში.

საქონლის ფასსა და საქონელზე მოთხოვნის სიდიდის მუდმივად განმეორებად უკუკავშირის მოთხოვნის კანონს უწოდებენ.

მოთხოვნა უკავშირდება მიწოდებას. მიწოდება იმ საქონლის რაოდენობაა, რომელსაც გამყიდველი სთავაზობს მომხმარებელს, კონკრეტულ ფასად.

ისე, როგორც მოთხოვნა, მიწოდებაც საქონლის ფასების დონეზეა დამოკიდებული. მიწოდების სიდიდე ძირითადად განისაზღვრება ფასების დონით.

მიწოდების რაოდენობა არის საქონლის ის რაოდენობა, რომლის გაყიდვის სურვილი შესაძლებლობასც აქვს გამყიდველს.

საერთოდ, მიწოდების სისლიდე ცვალებადობას განიცდის, რასაც განა-პირობებს: რესურსების ფასები, ტექნოლოგიები, მოლოდინი, გამჭიდველთა რაოდენობა.

მისაწოდებელი ანუ სარეალიზაციო საქონელი ხუთ ძირითად ჯგუფად იყოფა: ნედლეული (რესურსი), მოხმარების საგნები, სამუშაო ძალა, ფულადი კაპიტალი, პირადი მოხმარების საგნები, მომსახურება.

სტაბილურ კავშირს, რომელიც ვლინდება იმ კანონზომიერებსი, რომ ფასის მომატების შესაბამისად იზრდება საქონლის მიწოდების სიდიდე, ხოლო ფასის შემცირებას თან სდევს საქონლის მიწოდების კლება-ეწოდება მიწოდების კანონი.

მიწოდებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: რესურსების ფასები; წარმოების ტექნოლოგიის დონე; გადასახადები და დოტაციები; სხვა საქონლის ფასები; მოლოდინი (პროგნოზი); მიმწოდებელთა (გამყიდველთა) რაოდენობა ბაზარზე; საქონლის რეალიზაციის მოცულობა (ფაქტიურ ფასებში); ეკონომიკური კონიუქტურა; კონკურენციის დონე; საგადასახადო პოლიტიკა (მექანიზმი); ვაჭრობის განვითარების დონე და სხვ.

მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდებს მხოლოდ ერთი გადაკვეთის წერტილი აქვს, ამას საბაზო წონასწორობა ჰქვია. ეს ისეთი სიტუაციაა, როდესაც მოწოდება და მოთხოვნა გაწონასწორებულია.

ფასს კი, რომელიც ამ წერტილში (დროს) გარკვეულ მომენტში მყარდება წონასწორობის ფასი ეწოდება. ანუ, ფასი, რომელიც აწონასწორებს მიწოდებასა და მოთხოვნას.

საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის რაოდენობა წონასწორობის დროს არის წონასწორული რაოდენობა.

6.11. მომსმარებელთა კლასიფიკაცია

საერთოდ, მომხმარებელთა კატეგორია შეიძლება დაჯგუფდეს: სქესის, ასაკის, სოციალური მდგომარეობის, განათლებისა და კულტურის დონის, ფსიქიკური თავისებურებების (მდგომარეობის), შემოსავლების, რელიგიური მრწამისისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

მომხმარებელთა კლასიფიკაციას (ტიპოლოგიას) განაპირობებს ბაზარზე მათი მოქმედების სტილი და ქცევა. მთლიანად კი მასზე გავლენას ახდენს: სოციალურ-კულტურული ფაქტორები; კულტურისა და განათლების დონე; პიროვნული და ფსიქოლოგიური ფაქტორები და სხვ.

მოთხოვნასა და მომხმარებლის მოქმედებებზე დიდ გავლენას ახდენს მოტივაცია, რაც მოთხოვნილების აღმძვრელ მოძალებულ და დაფინანსულ, უთუოდ შესასრულებელ საჭიროებას ნიშნავს. მოტივაციური მექანიზმი მთელი ბიზნესის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თავისებურებაა.

6.12. მარკეტინგული კომუნიკაცია

კარგად ჩამოყალიბებული საკომუნიკაციო კავშირი წებისმიერი ფირმის ეფექტური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა.

ამჟამად, განსაკუთრებით იზრდება საინფორმაციო კომუნიკაციების როლი.

კომუნიკაცია არის შეტყობინებისა და კავშირის საშუალება, საინფორმაციო კონტაქტები, ინფორმაციის გაცვლის პროცესი.

მარკეტინგის კომუნიკაციის კომპლექსის შემადგენელი ნაწილებია რეკლამა, პირადი გაყიდვა, საზოგადოებრივი კავშირი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, გასაღების სტიმულირება.

კომუნიკაციის საშუალებებია: ტელევიზია, რადიო, ჟურნალები, რეკლამა ფირნიშებზე, პლაკატები, ფოსტა, ინტერნეტი და ა.შ.

მარკეტინგის, როგორც მეცნიერების საგანი, ზემოთ ჩამოთვლილ და გაშუქებულ საკითხებთან ერთად შეისწავლის შემდეგს: საქონელსა და სასაქონლო პოლიტიკას; ბაზარს; კონკურენციას; ფასებსა და ფასწარმოქმნას; ვაჭრობის საბითუმო და საცალო ქსელებს; საგაჭრო მომსახურებას, რეკლამასა და გასაღების სტიმულირებას; საერთაშორისო მარკეტინგსა და საგარეო სავაჭრო ოპერაციებს; ტურისტულ მარკეტინგს; ეკოლოგიურ მარკეტინგს და სხვ.

7. შოდის სკივრი **Chest of Knowledge**

სიმინდის-ეზის ღაერთის ოქროს საჩუქრის გესახებ

ომარ ქეშელაშვილი-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

სიმინდი, ისე როგორც ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია და ღომი, მარცვლეული კულტურაა. ეს კულტურა ათასობით წლის წინ დამტკვიდრდა მექანიზმის ტერიტორიაზე. მან უდიდესი როლი შეასრულა ამერიკის უძველესი ცივილიზაციების-ოლმექების, აცტეკებისა და მაიას კულტურის ჩამოყალიბებაზე.

სიმინდს იმდენად განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ამ ხალხის ცხოვრებაში, რომ დროთა განმავლობაში თაყვანისცემის საგნადაც იქცა.

სანამ სიმინდი საქართველომდე ჩამოახწევდა, დიდი გზა გამოიარა. დღეს, ეს სასარგებლო და გემრიელი მარცვლეული კულტურა ადგილობრივ ტრადიციებთან მტკიცედ არის გადაჯაჭვული, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

მოკლე ისტორია:

პირველი წერილობითი ცნობა სიმინდის შესახებ დათარიღებულია 1006 წლით. იგი აღმოჩენილი იქნა ტაუნტონ-რივერთან. ინკების, მაიას ტომისა და აცტეკებისათვის ეს კულტურა ძალზე ფასობდა—სიმინდში ცვლილენ სხვადასხვა პროდუქტს, საშენ მასალას და სხვა ძვირფას ნივთებს. ინდიელები სიმინდისგან ზეთსაც ხდიდნენ, ფუჩეჩისგან კი ლეიბებს ამზადებდნენ. გარდა სიმინდის მარცვლისა, საკვებად გამოიყენებოდა მისი ღეროებიც, რომლისგანაც აყენებდნენ ღვინოს და ხარშავდნენ ვაჟინს.

სიმინდს ინდიელები მზის ღმერთისგან ბოძებულ ოქროს საჩუქრას უწოდებდნენ.

სიმინდი, მარცვლეული კულტურა, პირველად ქრისტეფორე კოლუმბმა ახსენა და მას მაისი უწოდა. სწორედ მისი დამსახურებაა ევროპაში ამ კულტურის გავრცელება. კოლუმბმა 1442 წელს სიმინდი კუბაზე ნახა და ევროპელებს აუყრა: „მე ვნახე მაისად წოდებული მარცვლები“.

სიმინდი ესპანეთიდან ინგლისში, შემდგომ პორტუგალიასა და საფრანგეთში მოხვდა. პორტუგალიელმა მეზღვაურებმა ეს კულტურა ინდოეთსა და ჩინეთში გააგრცელეს. ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში კი ყირიმიდან შემოვიდა.

ისტორიული წყაროები, სიმინდის გავრცელებას კავკასიაში პეტრე პირველის ინტერესებს, მის სიახლისადმი სწრაფვას უკავშირებენ.

მე-16 საუკუნის დასაწყისის ევროპაში სიმინდი მონათლეს, როგორც ინდური ხორბალი. პირველად იგი ფრანგებმა და იტალიელებმა დათესეს.

არსებობს ლეგენდაც: როდესაც ღმერთმა ადამიანებს დედამიწა გაუნაწილა, პირველად ინდიელები მივიდნენ და ყველაზე ძვირფასი პროდუქტი-სიმინდი ამოარჩიეს. ამის შემდეგ ისინი თავიანთ ღმერთებს მადლიერების ნიშნად სიმინდის ფევილისაგან გამომცხვარ პურს სწირავდნენ.

დროთა განმავლობაში, ინდიელების მოპოვებულმა “ოქროს საჩუქარმა“ ჩვენამდეც ჩამოიაღწია და უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა ქართულ სამზარეულოში და სრულად ჩაანაცვლა მეორე მარცლეული კულტურა-ღორი, რომელიც მანამდე, დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ მთავარ საკედების წარმოადგენდა და განსაკუთრებული გემოვნერი თვისებებით გამოირჩეოდა.

მე-17 საუკუნეში მოღვაწე იტალიელი მისიონერი არქანჯელი ლამბერტი, რომელმაც საკმაო პერიოდი საქართველოში დაჰყო, თავის ნაშრომში „სამეგრელოს აღწერა“ არ ახსენებს სიმინდს. სავარაუდოდ, ამ კულტურას ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფეხი მოკიდებული, თუმცა ბევრს საუბრობს ლობიოს შესახებ, რომელიც აგრეთვე ამერიკიდან გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოში.

სიმინდის შესახებ საინტერესო ცნობებს ვიგებთ ფრანგი მოგზაურის, უან ფრანსუა გამბას, ჩანაწერებიდან, რომელმაც საქართველოში 1829-1824 წლებში იმოგზაურა. მისგან ვიგებთ, რომ იმ დროისთვის სიმინდის კულტურა კარგად იყო განვითარებული. იგი ახსნებს სიმინდის გალეტებს (კარგად გამომშრალი ბრტყელი კვერი), რომელიც ევროპელ სტუმრებს ჩაისთან ერთად მიართვეს.

უგემრიელესია მოხარშული ან შემწვარი ჭყინტი სიმინდი, ღომისა და ელარჯის გარდა, ამ პროდუქტს სხვადასხვა კერძის მომზადებისას იყენებენ. სიმინდის ფევილს მცირე რაოდენობით საცივსა და ნიგვზიან ხარჩისაც უმატებენ, ხმარობენ შემწვარი თევზის საფანელადაც, აცხობენ ლობიან და მწვანილიან მჭადებს.

აფხაზეთში, ღომი იხარშება არა ღერლილისაგან, არამედ უშუალოდ სიმინდის ფქვილისაგან. სამეგრელოში ძალინ პოპულარულია ჭვიშტარი—მჭადის ცომითა და ყველით მომზადებული კვერები. კახეთსა და ქართლში ცნობილია მჭადის ფაფა, რომელსაც სიმინდის ფქვილით, მოშუშული ხახვითა და წყლით ამზადებენ, გულში კი ღორის ქონს უდებენ.

დასავლეთ საქართველოსგან განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურას ისე მძლავრად არა აქვს ფეხი ძოკიდებული და ვერც მჭადით ხდება პურის ჩანაცვლება.

სიმინდს მედიცინაში იყენებენ, როგორც შარლმდენ საშუალებას შარდგენჭოვანი დაავადების, ნაღვლის სადინარებისა და ღვიძლის დაავადებების დროს. მას აქვს სისხლდენის შეჩერების უნარი. სინიმნდის ფქვილი გამოიყენება კოსმეტიკაშიც. მისი აბაზანა ამშვიდებს კანის ანთებით უბნებს, არბილებს გაუხეშებულ ადგილებს, აცხრობს ქავილს.


ევროპაში სიმინდისგან სასმელებსაც ამზადებენ, მაგალითად ლუდს ვისკის, უპირატესად მარცვლოვან ვისკის.

მომზადებულია ჟურნალ „სარკეში“ თბოჭორიძის მიერ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით (2019 წ. აპრილი)

8.რეცენზია Recension

ნოდარ ჭითანავა-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

რმარ ეხებაშვილის მონოგრაფიის: „სოფლის
მეურნეობის სახისაუზარი, ეკონომიკური ზრდის
პირობები და განვითარების პროგნოზი“
(გამოცემა „აგრო“, თბილისი, 2019წ.)
ესისირული შაფასება



წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სამეცნიერო-საგანმანათლე-
ბლო და გამოყენებითი ხასიათის მონოგრაფიას. ნაშრომის შინაარსი
მრავალფეროვნებით გამოიჩინა.

ჯერ ერთი-კომპლექსურად და სისტემური მიღომით განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგრამარეობის თითქმის ყველა მხარე (სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების თავისებურებები, ტენდენციები, კანონზომიერებები, განვითარობის სტრატეგიული ამოცანები, პრიორიტეტები, რესურსები, სპეციალიზაციის დონე, დარგობრივი სტრუქტურა, ეკონომიკური მექანიზმი, მართვის პრობლემები და სხვ.);

შეორულად ანალიზისას ავტორი იყენებს მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდებსა და ქვეყნის სპეციფიკური ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების ანალიზით იძლევა დღეს საქართველოში სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების გარემო პირობების რეალურ სურათს, რაც მომავალში საფუძვლად უნდა დაედოს ამ დარგის განვითარების სტარტეგიას.

მესამე-ავტორი ახლებურად უდგება ახალი ეკონომიკური გარემოს, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით ჩამოყალიბებული რეალობის ანალიზს და აკთობს მართებულ დასკვნას, რომ „ეკონომიკური გარემო, სწორვდ საბაზრო მოტივაციების შესაბამისად, თანდათანობით, დამოკიდებული განდა ინოვაციურ ანუ ცოდნის ეკონომიკაზე, რომელშიც მთავარ პროდუქტურ წარმოგვიდგება ინტელექტუალური პროდუქტი. . . საბაზრო ურთიერთობებზე მორგებული ეკონომიკური გარემო პასუხს უნდა სცემდეს შემდეგ მთავარ კითხვებს: რა ვაწარმოოთ; რამდენი უნდა ვაწარმოოთ (არ-სებული რესურსების რა მოცულობა უნდა გამოვიყონოთ); როგორ უნდა ვაწარმოოთ (როგორ უნდა იყოს ორგანიზებული წარმოება); ვინ უნდა მიიღოს პროდუქტი და როგორ უნდა განაწილდეს იგი მომხმარებლებს შორის (გვ.4). ამ დასკვნაში წარმოდგენილია ავტორის სწორი სტრატეგიული ხედვა (პოზიცია), რომელიც სრულად შეესაბამება ეროვნული ეკონომიკის, მათ შორის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ ინტერესებს. ამასთან ავტორი სწორად განსაზღვრავს ახალი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისათვის პირობათა ერთობლიობას და მათ შორის უპირატესობას ანიჭებს ტექნოლოგიურ ასპექტს, თვლის, რომ „ეკონომიკური გარემო განსაზღვრავს და გავლენას ახდენს ტექნოლოგიურზე და პირიქით, ეს უკანასკნელიც განსაზღვრავს, განაპირობებს და გავლენას ახდენს ეკონომიკურ გარემოზე“ (გვ.5). ასეთი, მეთოდოლოგიურად სწორი მიდგომის საფუძველზე ავტორის აზრით: „სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიური გარემო უკავშირდება ეკონომიკურ გარემოს და მათი ურთიერთშერწყმის, ურთიერმოქმედების და ურთერთგავლენის შედე-

გად მიიღება ახლებური-მარკეტინგული გარემო, რაც უნდა შეესაბამებოდეს პროდუქტის მიწოდებას და მასზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას-ბაზრის არჩევანისა და მომხმარებლთა თავისუფლების პირობების დაცვით. (გვ.5). ამრიგად, ავტორის აზრით „იქმნება ერთიანი ჯაჭვი, რომელშიც აკუმულირებულია „სამმაგი გარემოს“ შექმნის პირობა. ეს, განსაზღვრავს თანამედროვე ეკონომიკის ახლებურ, ინტეგრირებულ-კომპლექსურ სისტემას და მისი განვითარების სტრატეგიას“ (გვ.5). ასეთი მიდგომით ავტორი ადასტურებს, რომ მას კარგად აქვს გაცნობირებული გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესების გადაკვეთაზე ამჟამად ჩამოყალიბებული ტენდენციების არსი და მათი გათვალისწინების აუცილებლობა;

მეოთხე-ავტორი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციებისა და კანონიზების ასახისას აანალიზებს მრავალმხრივ სტატისტიკურ ინფორმაციას და აყალიბებს მეტად საინტერესო (აუცილებელ) მოსახრებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს დარგის განვითარების ძირითადი მიმართულებების სწორად განსაზღვრას. მთავარი ისაა, რომ დარგის პერსპექტივაში განვითარების ღონისძიებათა სისტემის შემუშავებისათვის ამოსავალი საწყისი სწორად არის განსაზღვრული;

მეხუთე-ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, დარგთა შეთანაწყობისა და მათი განვითარების რეგიონული ასპექტების განხილვას (კვლევას). ეს პრობლემა ყოველთვის იყო ერთ-ერთი ცნობრალური მიმართულება აგრარული განვითარების სტრატეგიების განსაზღვრისას. ჯერ კიდევ, საბჭოთა პერიოდში შემუშავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალური სქემა, რომელიც საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო პირობებისა და შრომითი ტრადიციების გათვალისწინებით. წინამდებარე ნაშრომის ავტორი ასპირანტობის პერიოდიდან უშუალოდ მონაწილეობდა აღნიშნული თემის (პრობლემის) დამუშავებაში. ამიტომ ლოგიკურია ის, რომ ბატონი ომარი ახლებურად უდგება სპეციალიზაციის არსებულ სქემას. მისი აზრით აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ორი ძირითადი ამოსავალი კრიტერიუმი-ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და საბაზრო ურთიერთობისათვის დმახასიათებელი და ეტაპობრივად ცვალებადი, ქვეწის შიდა და გარე მარკეტინგული მოტივაციები, მოთხოვნები, შეზღუდვები, სტრატეგია (გვ.20). ასეთი მიდგომის საფუძველზე ავტორი გვთავაზობს საქართველოს მრავალდარგოვანი

სოფლის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიულ მოდელს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტები (ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრებით), პროგრამული მიდგომები, პროგნოზები (პესიმისტური და ოპტიმისტური ვარიანტებით), ინტენსივურაციის მიმართულებები (ინოვაციური მიდგომებით). ყოველივე ეს გამოიჩინება ახლებური ხედვებით და ეყრდნობა დარგის თანამედროვე მდგომარეობის კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ანალიზს;

მეექსე-საქართველოს სასოფლო-სამურნეო წარმოების თავისებურებების განხილვით ავტორი გვთავაზობს ბუნებრივი უნივერსალური რესურსისა და წარმოების ფაქტორის-მიწის რესურსების გამოყენების დონის ზონალურ-დიფერენცირებულ შეფასებას. ავტორის ანალიზიდან ჩანს, რომ მიწის რესურსების გამოყენებას საქართველოში სათანადო უკადღება არ ექცევა. ამის გამომწვევი მიზეზებიც ობიექტურად არის ახსნილი. ამასთან შემოთავაზებულია არგუმენტირებული რეკომენდაციები მიწის რესურსების (სასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის) რაციონალურად გამოყენების ძირითადი მიმართულებების შესახებ;

მეშვიდე-განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოფლის მურნეობაში ძირითადი საწარმოო ფონდების სტრუქტურის ანალიზი. ავტორმა შეძლო ახლებურად დაუსვა პრობლემა. სწორად განსაზღვრა მიღვინდებიც. ობიექტურად ახსნა არა მარტო ძირითადი საწარმოო ფონდების ფიზიკური მოცულობების, არამედ, მათი სტრუქტურის ცვლილებების დინამიკა. არგუმენტირებულია მისი დასკვნა იმის შესახებ, რომ ძირითადი საწარმოო ფონდები (კაპიტალი) მიწასთან ერთად ქვეყნის ნივთობრივი სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი საფუძველი არაეფექტურად გამოიყენება, რომ ძირითადი საწარმოო ფონდების უდიდესი ნაწილი (62%) ბიოლოგიურად ცოცხალ ფონდებზე მოდის (მუშა პირუტყვი, პროდუქტიული პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები), რომლებიც თავის მხრივ ფუნქციონირებისათვის საჭიროებენ სხვა ძირითადი ფონდების მოშახურებას. ამ დასკვნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს და გვიჩვენებს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოების პროცესი მნიშვნელოვანილად ხელით შრომას ემყარება. ამიტომაა, რომ უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამურნეო პროდუქციის ზრდა მკვეთრად შემცირდა. ლოგიკურია ავტორის დასკვნა, რომ „აგრარული სექტორის ტრანსფორმაცია, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, მიმდინარეობს სტიქიურად და ამდენად, დღემდე ვერ მოხერხდა ამ სფეროში საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პროცესების რეალიზაცია“ (გვ.54).

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების კონტექსტში ნაშრომში ვრცლად არის განხილული ტექნიკური რესურსების გამოყენების დონე (ტენდენციები). გაანალიზებულია ამ მხრივაც ჩამორჩენის მიზეზები, არ არის შექმნილი ოჯახურ და ფერმერულ მეურნეობებზე მორგვეული თანამედროვე ტექნოლოგიები და მანქანათა სისტემა, მოშლილია საინჟინრო სფერო, საბრუნავ საშუალებათა გამოყენების ეფექტურიანობა არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის გავითარების ამოცანებს. ამრიგად, ავტორის დასკვნით, სოფლის მეურნეობაში შექმნილი არ არის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფისა და გამოყენების რაციონალური მექანიზმი.

მერვენაშრომში განხილულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემები. შესაბამისი ინფორმაციების ანალიზზე დაყრდნობით, ავტორი გვაძლევს ნებატიური მოვლენების ობიექტურ ასხნას. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მთელი დასაქმებული მოსახლეობის ნახევარზე მეტი, რომელიც ქმნის მშპ მხოლოდ 8%-ს. ასევე მაღალია (60%) თვითდასაქმებულთა რაოდნობა. ასეთი მდგომარეობა, ავტორის აზრით, უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე უკიდურესად დაბალია;

მეცნე-ავტორმა შეძლო ამჟამად სოფლის მეურნეობაში მოქმედი ეკონომიკური მექანიზმის არსები კომპეტენტურად გარკვევა, ნებატიური მხარეების შეფასება და პოზიტიური სიმპტომების მხარდაჭერის რეკომენდაციების შემუშავება. ანალიზით საქართველოს საბანკო სისტემა ორგანიზაციულად გამართულია და მომსახურების ფორმების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მაგრამ სათანადო გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე (მიზეზები ობიექტურად ახსნილია). ავტორს მართებულად მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობაში ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის სუსტი მხარეა, ის, რომ ფინანსური რესურსები კონცენტრირებულად და მიზნობრივად არ გამოიყენება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნაში ფაქტობრივად უგულებელყოფილია ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების პროგნოზირების პრაქტიკა. არ გამოიყენება პრობლემების გადაწყვეტისას მიზნობრივი პროგრამებით პროცესების რეგულირების გამოცდილება. სწორია ავტორის მოსაზრება, რომ აუცილებელია ეკონომიკაში, საბაზო ურთიერთობების დამკვიდრების სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად, გაძლიერდეს სახელმწიფოს მარკორდინირებელი როლი.

მეათენაშრომში ვრცლადაცა წარმოდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მართვის (მენეჯმენტის) პრობლემები (გვ.77-83) და შემოთავაზებულია სათანადო რეკომენდაციები.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომი ფაქტობრივად იძლევა ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ნიშან-თვისებების, თავისებურებებისა და ტენდენციების (კანონზომი-ერების) ობიექტურად შეფასების (აღმის) საფუძველს. აქედან გა-მომდინარეობს ნაშრომის ღრმა თეორიული (კონცეპტუალური) და პრაგმატული მნიშვნელობა. მეთოდოლოგიურად ნაშრომი წარმოადგენს პრობლემების კომპლექსურად შესწავლა-განხილვა-ანალიზის კარგ მაგალითს.

ამასთან ერთად გამოყოფთ ნაშრომის სხვა ღირსებებსაც:

- რეალურად ასახულია საქართველოს სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების (ტრანსფორმაციის) ძირითადი მახასიათებლები (გნა-კუთრებით ტენდენციები);
- ობიექტურად ახსნილია ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი ძირი-თადი დარგის განვითარებისას (ტრანსფორმაციისას) დაშვებული შე-ცდომები (თეორიულ-კონცეპტუალური, ეკონომიკური, მეთოდოლოგი-ური და სხვა);
- სოფლის მეურნეობა განხილულია ორი ასპექტით, პირველი-რო-გორც ეკონომიკის მთავარი (წამყვანი) დარგი თავისი სპეციფიკური პირობებითა და ტრადიციებით და მეორე-როგორც ეროვნული ეკონო-მიკის (მთელის) ნაწილი, რომელზეც არსებითად დამოკიდებულია საბაზო სისტემაში ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუ-ქტურის ფორმირება. ეს თავისებურება დარგის განვითარების გა-ნვლილ პერიოდში ყურადღების მიღმა დარჩა.

ავტორმა საზოგადოებას შესთავაზა ორიგინალური ნაშრომი (გა-მოკვლევა), რომელიც განვლილი 27 წლის მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების (პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, ზნე-ობრივი და სხვა ასპექტების) კომპლექსური ანალიზის შედეგად ჩა-მოყალიბებული დასკვნებით (რეკომენდაციებით) ხელს შეუწყობს პე-რსპექტივაში დარგის განვითარების ყოველმხრივ გააზრებული, ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებას.

შურნალის „აგრარულ—ეკონომიკური მეცნიერება და
ტექნოლოგიები“-ის თემატიკური სტრუქტურული სქემა
(განყოფილებები)

- I. ზოგადი მიწათმოქმედება.
- II. მემკენარეობა.
- III. სელექცია, გენეტიკა, მეთესლეობა.
- IV. ნიადაგმცოდნეობა და აგროქიმია.
- V. მელიორაცია და ირიგაცია.
- VI. მცენარეთა დაცვა.
- VII. მექანიზაცია და ელექტიფიკაცია.
- VIII. აგროსატექნიკური ღონისძიებები.
- IX. ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლის ღონისძიებები.
- X. სასოფლო-სამურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები.
- XI. მეცხოველეობა.
- XII. ვეტერინარია.
- XIII. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და შენახვა.
- XIV. ექონომიკა და ბიზნესი.
- XV. აგრარული ეკონომიკა.
- XVI. ეკონომიკური თეორია.
- XVII. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.
- XVIII. მსოფლიო ეკონომიკა.
- XIX. ნორმატიულ-საცნობარო მასალები.
- XX. საკონსულტაციო დარბაზი.
- XXI. სადისკუსიო კლუბი.
- XXII. უწყვეტი სწავლების დარბაზი.
- XXIII. საინფორმაციო მაცნე.
- XXIV. აგრარული და აგროეკონომიკური ტერმინოლოგია.
- XXV. გამოჩენილი აგრარიკოს-ეკონომისტი მეცნიერები.
- XXVI. სიტყვა აკადემიკოსს.
- XXVII. დოქტორანტობა დარბაზი.
- XXVIII. ბაკალავრთა დარბაზი.
- XXIX. ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციები.
- XXX. საკითხის დასმა.

შიდაარსი—CONTENTS

	83.
1. ეკონომიკა და ბიზნესი—Economics and Business	5
ომარ ქეშელაშვილი— კონკურენცია ბიზნესში	5
O. Keshelashvili—Competition in Business	12
თ. ლაჭკეპანი, ვ. ზეიკიძე, გ. მშვილდაძე, ხ. მურვანიძე— გადასახადები, როგორც ფისკალური პოლიტიკის შემადგე- ნელი ნაწილი	13
T.Lachkepiani, V.Zeikidze, Z.Mshildadze, B.Murvanidze— Taxes as part of fiscal policy	24
დალი სილაგაძე—აგრობიზნესის მარკეტინგი და მიწოდების სტრატეგიები	25
Dali Silagadze—Agribusiness Marketing and Delivery Strategies ...	30
2. აგრარული ეკონომიკა—Agrarian Economy	31
დალი სილაგაძე—მეცხოველეობაში არსებული მდგრადება და განვითარების პერსპექტივები	31
Dali Silagadze—The condition of the breeding and development perspectives	39
3. ნიაღაგამოდეობა და აგროქიმია—Soil Science and Agrochemistry	40
ნიკოლოზ ასაშვილი, გიორგი დანელია—ნიტროფოსკისა და ტერავეტის გავლენა სიმინდის ფქვილის პროდუქციის ხარისხზე ეფოქტური ექსპერტიზის თვალსაზრისით	40
N. Asashvili, G. Danelia—Influence of Nitrophoska and Teravet on the quality of corn flour products in terms of ecochemical expertise .	46
4. მაცხოველეობა—plant-industry	47
ზეინაბ ახალაძე—მესიმინდეობის განვითარებისათვის საქართველოში	47
Zeinab Akhaladze—For the Development of Cornculture in Georgia	54
5. უფავეფი სფავლების დარბაზი—Continuous Studying	
Hall(ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili)	55
ლექცია 21 დარგობრივი ბიზნესის ორგანიზაცია	55
21.6. ბიზნესის ორგანიზაცია რეკრეაციულ კომპლექსში	55
21.7. ბიზნესის ორგანიზაცია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში .	58
21.8. ბიზნესის ორგანიზაცია განათლების სფეროში	62
6. ტერმინები—Terms (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili	65
6.1. ეკონომიკური ზრდა	65
6.2. ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა	67
6.3 რეგიონული ეკონომიკა	69

6.4. მარკეტინგის არსი, კლასიფიკაცია და პრინციპები	71
6.5. მარკეტინგის გარემო და სუბიექტები	74
6.6 მარკეტინგის სახეები	75
6.7 მარკეტინგის სტრატეგია და ტაქტიკა	76
6.8 მარკეტინგის ფუნქციები	78
6.9 მარკეტინგული სამსახური	79
6.10. მოთხოვნა და მიწოდება	80
6.11. მომზადებელთა კლასიფიკაცია	82
6.12. მარკეტინგული კომუნიკაცია	83
7. ცოდნის სკივრი - Chest of Knawledge	84
ომარ ქეშელაშვილი-სიმინდის-ძალის ღმერთის ოქროს საჩუქრის შესახებ	84
8. რეცენზია-Recension	87
ნოდარ ჭითანავა-ომარ ქეშელაშვილის მონოგრაფიის „სიულის მეურნეობის სპეციალიზაცია, ეკონომიკური ზრდის პირობები და განვითარების პროგნოზი“ მეცნიერული შეფასება	87
შინაარსი-CONTENTS	94

მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსაღები სტატიების მიმართ:

1. სტატიის მოცულობა—5-6 გვ-დე; ნაბეჭდი (LitNusx— 11; 1,0 ინტერვალზე. სათაური LitMtavrPS —11, ფორმატი Pege Setup-ში: Top 1.0; Left 15.8; Bottom 1.0.; Right 1.0;), ერთი ეგზემპლარი და CD-ზე. არ გადატეკიროთ დიაგრამებითა და სქემებით, ცხრილები უნდა იყოს კომპაქტური, ვერტიკალურად ნაბეჭდი.
2. სტატიას უნდა ახლდეს რეფერატი (ინტერნეტული ვერსია—0,5 გვერდამდე) ქართულად და ინგლისურად;

2019 წლის III კვარტალი

ტექნიკური რედაქცია:

გმოსაშვილი-აკადემიური დოქტორი-ტექნიკური რედაქტორი, ვებ-გვერდის რედაქტორი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: ინგლისური ვერსია-ი.ბახტაძე, თ. ეპიტაშვილი.

ჟურნალის დამფუძნებელი და გამომცემელია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

ჟურნალის გამოცემის მხარდამჭერები არიან:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (პრეზიდენტი აკადემიკოსი გ.ალექსიძე), შპს-პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი (დირექტორი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დ.ეგიაშვილი).

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 5,5
პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 6,0